

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი



ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი  
ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დარგობრივი  
დეპარტამენტი

ნესტან ვარშანიძე

## იმპორტშემცვლელი წარმოების პერსპექტივები და გამოწვევები საქართველოში - აკვაკულტურა

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

**ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი**

ბათუმი - 2026

ნაშრომი შესრულებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დეპარტამენტში.

**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათელა წიკლაშვილი**

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**უცხოელი შემფასებელი: ნატალია ვდოვენკო**

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, უკრაინის ბიორესურსებისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი

**შემფასებლები:**

**ეთერ ხარაიშვილი**

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**გივი ბედიანაშვილი**

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**ზადრი გეგზაია**

ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

დისერტაციის საჯარო დაცვა შედგება 2026 წლის 10 ივლისს 14:00 საათზე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი სადისერტაციო კომისიის სხდომაზე, მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 35/რუსთაველის ქ. 32, აუდიტორია 423.

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შესაძლებელია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 35), ხოლო სადისერტაციო ნაშრომის ანოტაციისა - ამავე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ([www.bsu.edu.ge](http://www.bsu.edu.ge)).

**სადისერტაციო საბჭოს მდივანი: ლეილა ცეცხლაძე**

ბიზნესის მართვის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**ნაშრომის აქტუალობა.** საქართველოში აკვაკულტურის სექტორის აქტუალობა განპირობებულია მრავალგანზომილებიანი ფაქტორებით, რომლებიც მოიცავს სექტორის განვითარებას, სასურსათო სუვერენიტეტსა და ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას. მსოფლიო მასშტაბით 2000 წელს მეთევზეობისა და აკვაკულტურის წარმოება შეადგენდა 125 მლნ ტონას (26% აკვაკულტურა, 74% თევზჭერა), 2023 წლისთვის კი მიაღწია 188 მლნ ტონას, საიდანაც 52% აკვაკულტურულ მეურნეობებში წარმოებულ პროდუქტიაზე მოდის, ხოლო 48% თევზჭერაზე. მსოფლიოში 3 მილიარდზე მეტი ადამიანისთვის წყლის ბინადრები უზრუნველყოფენ ცხოველური ცილის საშუალო მოხმარების დაახლოებით 20%-ს. 2030 წლისთვის კაცობრიობის მიერ მოხმარებული თევზის ორი მესამედი სწორედ აკვაკულტურის მეურნეობებიდან იქნება მოწოდებული, რაც დარგს გლობალური სასურსათო უსაფრთხოების გარანტიად აქცევს. აკვაკულტურა, როგორც ბიოლოგიური და ეკონომიკური სისტემების სიმბიოზი, საჭიროებს ახლებურ მეთოდოლოგიურ მიდგომას, სადაც გათვალისწინებული იქნება „ლურჯი ზრდის“ (Blue Growth) პრინციპები.

პრაქტიკული თვალსაზრისით, კვლევა პასუხობს ქვეყნის წინაშე მდგარ უმთავრეს გამოწვევას - სავაჭრო დეფიციტის შემცირებასა და სასურსათო უსაფრთხოებას. 2024 წელს საქართველოში მხოლოდ გაყინული თევზის იმპორტმა 13 ათას ტონას მიაღწია (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური). ადგილობრივი ბაზარი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმპორტზე (იმპორტის წილი ბოლო 5 წლის განმავლობაში 86-88%-ია). აღნიშნული აფერხებს დარგის განვითარებას, საფრთხის ქვეშ აყენებს სასურსათო უსაფრთხოებას და აღრმავებს სავაჭრო დეფიციტს. თევზპროდუქტების იმპორტშემცველი პოლიტიკის გატარება საშუალებას მისცემს ქვეყანას შეამციროს სავაჭრო დეფიციტი და შექმნას ახალი სამუშაო ადგილები.

იმპორტშემცველი წარმოების სტიმულირებისთვის სახელმწიფომ, საერთაშორისო ორგანიზაციების (FAO, EU) მხარდაჭერით, შეიმუშავა „საქართველოს აკვაკულტურის მდგრადი განვითარების 2024-2028 წლების სტრატეგია“, რომლის მთავარი ორიენტირია წარმოების ხუთჯერ გაზრდა. კვლევის აქტუალობას ამლიერებს თემის შესაბამისობა საქართველოს აკვაკულტურის მდგრადი განვითარების 2024-2028 წლების სამოქმედო გეგმის მე-3 (აკვაკულტურის წარმოების მდგრადი მეთოდების დანერგვა და ეკოლოგიურად მიზანშეწონილი ახალი მიმართულებების განვითარება), მე-5 (აკვაკულტურის დარგში ახალი საწარმოო სისტემების შექმნა და არსებული სისტემების მოდერნიზაცია) და მე-7 (აკვაკულტურაში საუკეთესო პრაქტიკის დოკუმენტების შექმნა) მიზნებთან.

სექტორის ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზი აჩვენებს, რომ წარმოების ხარჯების უდიდესი ნაწილი თევზის საკვებზე მოდის. აღნიშნული მიუთითებს, რომ იმპორტშემცველი წარმოების წარმატება დამოკიდებულია ადგილობრივი საკვების წარმოების განვითარებასა და ტექნოლოგიურ მოდერნიზაციაზე, რაც შეამცირებს დამოკიდებულებას იმპორტირებულ საკვებზე.

ამდენად, კვლევა ხასიათდება მაღალი სამეცნიერო და პრაქტიკული აქტუალობით. მისი შედეგები მნიშვნელოვანია აკვაკულტურული მეურნეობების ბიზნესმოდელების თეორიული გააზრებისთვის, ასევე ბიზნესის მხარდაჭერი პოლიტიკისა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებისთვის.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** ნაშრომის მიზანია საქართველოში არსებული ინტენსიური თევზსაშენი მეურნეობების ბიზნესმოდელების შესწავლისა და კომპლექსური შეფასების გზით სექტორის ეფექტიანობაზე მოქმედი ეკონომიკური ფაქტორების ანალიზი და დარგის მდგრადი განვითარების, კონკურენტუნარიანობის ზრდისა და იმპორტშემცველი წარმოების სტიმულირებისთვის საჭირო სტრატეგიული რეკომენდაციების შემუშავება.

ამ მიზნის მისაღწევად დასახულია შემდეგი ამოცანები:

თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების ანალიზი - იმპორტშემცველი პოლიტიკის შესახებ არსებული სამეცნიერო-თეორიული და პრაქტიკული მიდგომების შესწავლა. აკვაკულტურის სექტორთან დაკავშირებული თეორიული მასალებისა და ემპირიული მონაცემების დამუშავება. აკვაკულტურული მეურნეობების ბიზნესმოდელების სპეციფიკისა და თანამედროვე ეკონომიკური მიდგომების სისტემატიზაცია;

საქართველოს აკვაკულტურის სექტორის დიაგნოსტიკა - ქვეყანაში არსებული ინტენსიური თევზსაშენი მეურნეობების თანამედროვე მდგომარეობის, საწარმოო სიმძლავრეებისა და ბიზნესის სტრუქტურის კომპლექსური შეფასება (აღწერითი სტატისტიკა, SWOT ანალიზი, PESTEL ანალიზი);

ფაქტორული ანალიზი და მოდელირება - ეკონომეტრიკული მოდელირებისა და მონტე-კარლოს სიმულაციის გამოყენებით ინტენსიური წარმოების ეფექტიანობაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების გამოვლენა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესწავლა და მათი გავლენის თვისებრივი/რაოდენობრივი შეფასება;

საგარეო ვაჭრობის დინამიკის კვლევა - საქართველოს თევზის ბაზარზე თევზპროდუქტების იმპორტ-ექსპორტის დინამიკის შესწავლა, იმპორტდამოკიდებულების ხარისხის განსაზღვრა (თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი, სავაჭრო ბალანსი, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI)) და ადგილობრივი ინტენსიური წარმოების ზრდის ხარჯზე იმპორტშემცველი წარმოების პოტენციალის შეფასება;

ბიზნესმოდელების გამოწვევების იდენტიფიცირება - ინტენსიური მუერნობების მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, არსებული ბიზნესმოდელის იდენტიფიცირება და ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ეფექტიანობის ანალიზი (Triple Layered Business Model Canvas (TLBMC) - სამშრიანი ბიზნესმოდელის ტილო);

დასკვნებისა და რეკომენდაციების ფორმულირება - კვლევის შედეგად მიღებული დასკვნების საფუძველზე, სექტორის ეფექტიანობის გაზრდის, საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლების, საგარეო სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების, იმპორტშემცვლელი პოლიტიკის ხელშემწყობი წინადადებების ფორმირება.

**კვლევის ობიექტი და საგანი.** კვლევის ობიექტია საქართველოს აკვაკულტურის სექტორი, კერძოდ, მასში მოქმედი ინტენსიური ტიპის თევზსაშენი მუერნობები, როგორც ქვეყნის აგროსასურსათო უსაფრთხოებისა და იმპორტშემცვლელი წარმოების განვითარების პოტენციური ბაზისი.

კვლევის საგანია ინტენსიური აკვაკულტურული მუერნობების ბიზნესმოდელები, მათი ფუნქციონირების მექანიზმები, საწარმოო ეფექტიანობაზე მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და დარგის კონკურენტუნარიანობისა და იმპორტჩანაცვლების პოტენციალის ამაღლების სტრატეგიული მიმართულებები.

**კვლევის მეთოდოლოგია.** ნაშრომში დასახული მიზნისა და ამოცანების მისაღწევად გამოყენებულია კვლევის კომპლექსური, შერეული მეთოდი (Mixed method), თანმიმდევრულ-განმარტებითი სტრატეგიით (Sequential Explanatory Strategy), რომელიც ეფუძნება სისტემურ მიდგომას და აერთიანებს შემდეგ მეთოდებს:

1. თეორიულ-მეთოდოლოგიური ანალიზი - ჩატარდა სამეცნიერო და აკადემიური ლიტერატურის ანალიზი ლიტერატურის სისტემური მიმოხილვის PRISMA-ს (Preferred Reporting Items for Systematic Reviews and Meta-Analyses) გამოყენებით. PRISMA-ს მეთოდი შესაძლებელს ხდის კვლევების იდენტიფიცირების, შერჩევისა და გამოყენების, ციტირების პროცესი იყოს სისტემურად დოკუმენტირებული, რაც ამცირებს მიკერძოებას. შესაბამისი ლიტერატურის იდენტიფიცირების მიზნით გამოყენებულ იქნა Scopus, ScienceDirect და JSTOR-ის სამეცნიერო ბაზები. განხორციელდა „ნაცრისფერი ლიტერატურის“ (სამთავრობო ანგარიშები, სტატისტიკები და სხვა) ანალიზი, რაც აკვაკულტურის სფეროში ხშირად უფრო აქტუალურია, ვიდრე აკადემიური პუბლიკაციები. აღნიშნული სასარგებლო აღმოჩნდა მენეჯერული ინსტრუმენტის - სამშრიანი ბიზნესმოდელის ტილოს (TLBMC) შერჩევისთვის. აღნიშნული მიდგომა ზრდის სამეცნიერო კვლევის სანდობასა და უზრუნველყოფს მის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან. ასევე დამუშავდა მეორადი სტატისტიკური მონაცემები (საქართველოს სტატისტიკის

ეროვნული სამსახური (საქსტატი), მსოფლიო ბანკი, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) და სხვა).

2. სექტორული დიაგნოსტიკა და სტრატეგიული ანალიზი - ინტენსიური თევზსაშენი მეურნეობების თანამედროვე მდგომარეობისა და ბიზნეს-სტრუქტურის შესასწავლად გამოყენებულა: SWOT ანალიზი (სექტორის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების იდენტიფიცირებისთვის) და PESTEL ანალიზი (მაკროგარემოს (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური და სამართლებრივი) ფაქტორების გავლენის შესაფასებლად).

3. ეკონომეტრიკული და მათემატიკური მოდელირება - კვლევა დაეფუძნა საქსტატის 2017-2024 წლების დროით მწკრივებს. გამოყენებულ იქნა ადწერთი სტატისტიკა წარმოების მოცულობის, სახეობრივი შემადგენლობისა და რეგიონული განაწილების შესასწავლად. წარმოების ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორების რაოდენობრივი შეფასებისთვის გამოყენებულა: ეკონომეტრიკული ანალიზი (მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დასადგენად და ძირითადი ეკონომიკური დეტერმინანტების გავლენის ასახსნელად) და მონტე-კარლოს სიმულაცია (ბიზნეს პროცესებში არსებული რისკებისა და ინტენსიური წარმოების ეფექტიანობაზე მოქმედი ძირითადი ეკონომიკური ფაქტორების გამოვლენის მიზნით).

4. საგარეო ვაჭრობისა და ბაზრის კონკურენტუნარიანობის ანალიზი - თევზპროდუქტების ბაზრისა და იმპორტდამოკიდებულების შესასწავლად გამოყენებულა სპეციფიკური ინდიკატორები: თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი (ადგილობრივი წარმოების წილის განსაზღვრა მოხმარებაში), ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (იმპორტის კონცენტრაციისა და ბაზრის მოწყვლადობის შესაფასებლად) და სავაჭრო ბალანსის ანალიზი (ექსპორტ-იმპორტის დინამიკის კვლევა დროით მწკრივებში).

5. ბიზნესმოდელების იდენტიფიკაცია და ანალიზი - მიღებული მონაცემების ტრიანგულაციის (Triangulation) საშუალებით იდენტიფიცირდა და გაანალიზდა თევზის მეურნეობის ბიზნესის მართვის მოდელები. ინტენსიური მეურნეობების მდგრადობის შესასწავლად გამოიყენება სამშრიანი ბიზნესმოდელის ტილო (TLBMC), რაც გულისხმობს წარმოების ანალიზს სამ განზომილებაში (ეკონომიკური შრე, ეკოლოგიური შრე, სოციალური შრე).

6. მონაცემთა შეგროვება და დამუშავება - კვლევის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები.

**პრობლემის შესწავლის მდგომარეობა.** აკვაკულტურის სექტორში იმპორტზემცველი წარმოების განვითარება და ბიზნესმოდელების ეფექტიანობის კვლევა თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური

მიმართულებაა. პრობლემის შესწავლის მდგომარეობა შეიძლება დაიყოს სამ ძირითად ასპექტად:

1. თეორიული ბაზისი და იმპორტმემცვლელი პოლიტიკა - იმპორტმემცვლელი პოლიტიკის სტრატეგიული მნიშვნელობა აგროსასურსათო სექტორში განხილულია კლასიკოსი და თანამედროვე ეკონომისტების ნაშრომებში. ადგილობრივი წარმოების სტიმულირება საგარეო შოკებისგან დაცვისა და სურსათის უსაფრთხოების გარანტიაა. თუმცა, აკვაკულტურის სპეციფიკასთან მიმართებით, იმპორტმემცვლელი წარმოების ეფექტიანობა ხშირად დამოკიდებულია ტექნოლოგიურ მზაობასა და წარმოების მასშტაბის ეკონომიაზე.

2. ინტენსიური აკვაკულტურის ბიზნესმოდელები - სამეცნიერო ლიტერატურაში კვლევების უმეტესობა ფოკუსირებულია ცალკეულ საკითხებზე, მაგალითად, თევზის საკვებზე, წყლის სისტემებზე, მათ მნიშვნელობასა და სახეობების სპეციფიკაციაზე. იშვიათია კვლევები, რომლებიც შეისწავლის აკვაკულტურული მეურნეობების ეკონომიკური შედეგიანობის გაუმჯობესებასა და სტრუქტურულ კავშირებს. ასევე, მცირე რაოდენობით არის კვლევები, რომლებიც ეყრდნობა რაოდენობრივ მეთოდებს და ხსნის მიზეზ-შედეგობრიობას.

3. ადგილობრივი კონტექსტი - საქართველოში აკვაკულტურის დარგის ცალკეული ასპექტები რამდენიმე ქართველი მეცნიერის ნაშრომშია განხილული, თუმცა პრობლემის შესწავლის მდგომარეობა არასაკმარისია. არსებული კვლევები ძირითადად ეხება დარგის ზოგად აღწერას, თევზის მოშენების ბიოლოგიურ თავისებურებებსა და ტრადიციული (ექსტენსიური) მეურნეობების ანალიზს. კვლევები არის ფრაგმენტული სახის. დარგში იკვეთება კვალიფიციური კადრების მწვავე დეფიციტი და უმაღლეს სასწავლებლებში შესაბამისი ფუნდამენტური საგანმანათლებლო პროგრამების ნაკლებობა. 2024 წლისთვის მდგომარეობა შეიცვალა აკვაკულტურის ეროვნული სტრატეგიის დამტკიცებით, რამაც კვლევები უფრო მიზანმიმართული და შედეგზე ორიენტირებული უნდა გახადოს. მიუხედავად დარგის მიმართ მზარდი ინტერესისა, დღემდე არ არსებობს კომპლექსური ნაშრომები, რომლებიც ინტენსიური მეურნეობების კონტექსტში რაოდენობრივი კვლევითი მეთოდების გამოყენებით გააანალიზებს ბიზნესმოდელების ეფექტიანობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე თეორიული ცოდნის სინთეზი ემპირიულ მონაცემებთან. ეს მიდგომა ხელს შეუწყობს საქართველოში ინტენსიური აკვაკულტურის განვითარებისა და იმპორტჩანაცვლების პერსპექტივების მეცნიერულად დასაბუთებული ჩარჩოს შექმნას.

**პიპოთეზა.** საქართველოს აკვაკულტურის სექტორში შიდა (ადგილობრივი) წარმოებით იმპორტის ეფექტიანი ჩანაცვლება და დარგის მდგრადი სოციალურ-

ეკონომიკური განვითარება შესაძლებელია არა ექსტენსიური საწარმოო ფართობების ზრდით, არამედ დარგობრივი კონცენტრაციის, ტექნოლოგიური ინტენსიფიკაციისა (ინოვაციური სისტემების დანერგვა) და ვერტიკალური ინტეგრაციის (ადგილობრივი საკვები ბაზის განვითარება) გზით.

**სამეცნიერო სიახლე.** კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს საქართველოს აკვაკულტურის სექტორში იმპორტმემცვლელი წარმოების პოტენციალის კომპლექსურ შესწავლასა და ინტენსიური მეურნეობების ბიზნესმოდელების ოპტიმიზაციის გზების მეცნიერულ დასაბუთებაში. კერძოდ:

1. ნაშრომის ფარგლებში ლიტერატურის სისტემური მიმოხილვის თანამედროვე მეთოდოლოგიის (PRISMA) გამოყენებით, შესწავლილია იმპორტმემცვლელი პოლიტიკის მახასიათებლები და გამოვლენილია ინტეგრირებული პროტექციონიზმის პოლიტიკის უპირატესობა საქართველოსთვის (როგორც მცირე და ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის).

2. შეფასებულია გლობალური და ადგილობრივი აკვაკულტურის განვითარების მიმართულებები და სამომავლო ტენდენციები. შედარებითი ანალიზის საშუალებით დახასიათებულია აკვაკულტურის ბიზნესმოდელები.

3. შეფასებულია საქართველოს აკვაკულტურის სექტორის სავაჭრო ბალანსი, გამოთვლილია ჰერფინდალ-ჰირშმანის (HHI) ინდექსი. აღნიშნულის საფუძველზე შეფასებულია თევზპროდუქტების ბაზარზე იმპორტდამოკიდებულების დონე და განსაზღვრულია ადგილობრივი ინტენსიური წარმოების ზრდის რეალური შესაძლებლობები.

4. შედარებითი ანალიზის საფუძველზე დახასიათებულია საქართველოში ინტენსიური თევზის მოშენების არსებული მოდელები და მათი განვითარების პერსპექტივები. ნაშრომში აკვაკულტურის სფეროში ინტეგრირებულია სამშრიანი ბიზნესმოდელის ტილო (TLBMC), რაც სიახლეა დარგის მდგრადი განვითარების დაგეგმარებაში - ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ეფექტების ერთობლივი გათვალისწინებით. SWOT და PESTEL ანალიზის ინსტრუმენტების გამოყენებით შეფასებულია საქართველოს აკვაკულტურის სექტორის ძლიერი და სუსტი მხარეები, განვითარების შესაძლებლობები და საფრთხეები. დასაბუთებულია კალმახის ინტენსიური მეურნეობების წარმოების შემაფერხებელი ფაქტორების ზემოქმედების შემცირების მექანიზმების შემუშავების აუცილებლობა.

5. საქართველოში არსებული აკვაკულტურული მეურნეობების რაოდენობრივი მაჩვენებლების საფუძველზე ეკონომეტრიკული მოდელის საშუალებით შეფასდა სხვადასხვა საწარმოო და ეკონომიკური ფაქტორის გავლენა საწარმოების პროდუქტიულობაზე. მონტე-კარლოს სიმულაციის მეთოდით შეფასდა არსებული ინტენსიური წარმოების მეურნეობის ეკონომიკური მდგრადობა.

6. კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემების საფუძველზე შემუშავებულია დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც მნიშვნელოვანია დარგის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული განვითარებისთვის და ეხმიანება სახელმწიფო სტრატეგიას.

აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს მეცნიერებისა და პრაქტიკის დაახლოებას, რომელიც მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული დარგის განვითარებასთან. ამრიგად, კვლევა გვთავაზობს კომპლექსურ ხედვას, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ გათვლებს, ტექნოლოგიურ ინოვაციებსა და გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას, რაც ქმნის მყარ საფუძველს საქართველოში იმპორტშემცველი აკვაკულტურის განვითარებისთვის.

**ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება.** კვლევის თეორიული ღირებულება განისაზღვრება აკვაკულტურის სექტორში იმპორტშემცველი წარმოების განვითარების მეთოდოლოგიური ჩარჩოს შექმნით. კერძოდ, ნაშრომი ამდიდრებს აგრარული ეკონომიკის თეორიას ინტენსიური თევზსაშენი მეურნეობების ბიზნესმოდელის სისტემური ანალიზით, რაც აქამდე ნაკლებად იყო შესწავლილი ქართულ სამეცნიერო სივრცეში (ძირითადად გვხვდებოდა ბიოლოგიური და აგრომიმართულების აღწერითი ნაშრომები). კვლევაში წარმოდგენილია ეკონომეტრიკული მოდელირების, მონტე-კარლოს სიმულაციისა და სამშრიანი ბიზნესმოდელის ტილოს (TLBMC) მიდგომების სინთეზი, რაც ქმნის ახალ პრეცედენტს დარგობრივი ეფექტიანობის მრავალგანზომილებიანი შეფასებისთვის. ნაშრომის შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც თეორიული საფუძველი მომავალი კვლევებისთვის, რომლებიც შეეხება სასურსათო უსაფრთხოებას, იმპორტდამოკიდებულების შემცირებას, მაღალტექნოლოგიური აგრობიზნესისა და აკვაკულტურის განვითარებას. მიღებული შედეგების გაზიარება მნიშვნელოვანი იქნება ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვის, ვინაიდან იგი ხელს შეუწყობს თეორიული ცოდნის გაფართოებას და, ამავდროულად, პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ახალი ხედვების ჩამოყალიბებას.

კვლევის შედეგები გამოყენებითი ხასიათისაა და მათი იმპლემენტაცია შესაძლებელია რამდენიმე მიმართულებით: ბიზნეს სექტორისთვის (ფერმერებისთვის) - შემუშავებული ოპტიმიზებული ბიზნესმოდელები დაეხმარება ინტენსიურ მეურნეობებს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში, ხარჯების ოპტიმიზაციასა და კონკურენტუნარიანობის გაზრდაში; სახელმწიფო სტრუქტურებისთვის - ნაშრომში წარმოდგენილი რეკომენდაციები და იმპორტდამოკიდებულების ანალიზი მნიშვნელოვანი წყაროა დარგობრივი პოლიტიკის განსაზღვრისთვის, სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების დაგეგმვისა და იმპორტშემცველი წარმოების განვითარების სტრატეგიის ფორმირებისთვის;

ინვესტორებისთვის - ეკონომეტრიკული მოდელირებისა და საპროგნოზო სიმულაციების შედეგები ზრდის სექტორის გამჭვირვალობას, რაც ხელს უწყობს საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებას აკვაკულტურის ინტენსიურ სისტემებში; სასწავლო პროცესისთვის - კვლევაში გამოყენებული ინტერდისციპლინური მიდგომა შესაძლებლობას იძლევა კვლევის მასალები გამოყენებულ იქნას უმაღლეს სასწავლებლებში აგრარული მიმართულებებისა და ბიზნესის ადმინისტრირების სასწავლო კურსების ფარგლებში.

### **კვლევის მიზნისა და ამოცანების მიხედვით ნაშრომმა მიიღო შემდეგი სტრუქტურა:**

შესავალი

#### **თავი 1. აკვაკულტურის სექტორის განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და გლობალური ეკონომიკური ტენდენციები**

1.1. იმპორტშემცვლელი პოლიტიკის თეორიულ-კონცეპტუალური საფუძვლები და ეკონომიკური დისკურსი;

1.2. აკვაკულტურის როლი გლობალურ სასურსათო უსაფრთხოებაში: ტენდენციები, დინამიკა და ლურჯი ტრანსფორმაციის პერსპექტივები;

1.3. ბიზნესმოდელების ევოლუცია და კლასიფიკაცია აკვაკულტურაში: მდგრადი განვითარების სტრატეგიული ასპექტები;

#### **თავი 2. საქართველოს აკვაკულტურის სისტემური კვლევა: საბაზრო დინამიკა, ეკონომეტრიული მოდელირება და ინსტიტუციური გარემო**

2.1. საქართველოს თევზის პროდუქტების ბაზრის სტრუქტურული ანალიზი: სტატისტიკური მიმოხილვა და ბაზრის დინამიკა;

2.2. აკვაკულტურული წარმოების ეკონომეტრიული მოდელირების ჩარჩო: პანელური მონაცემები, ცვლადების სპეციფიკაცია და ჰიპოთეზების ფორმულირება;

2.3. თევზის მეურნეობების ფუნქციონირების მაკროგარემოს ანალიზი და განვითარების პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები;

#### **თავი 3. იმპორტშემცვლელი აკვაკულტურის შესაძლებლობების შეფასება და ბიზნესმოდელის განვითარების პოტენციალი**

3.1. საქართველოს თევზის მეურნეობების ბიზნესმოდელების ანალიზი: ტიპური საოჯახო მეურნეობის ეკონომიკური პარამეტრების მოდელირება;

3.2. თევზის მოშენების ბიზნესის ანალიზი და მართვის სტრატეგიის გაუმჯობესების გზები სამშრიანი ბიზნესმოდელის ტილოს (TLBMC) საშუალებით;

დასკვნები და რეკომენდაციები

გამოყენებული ლიტერატურა

დანართები

## ნაშრომის ძირითადი შინაარსი

ნაშრომის პირველი თავი - აკვაკულტურის სექტორის განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და გლობალური ეკონომიკური ტენდენციები ეთმობა იმპორტშემცვლელი პოლიტიკის სტრატეგიის თეორიის განვითარებას, აკვაკულტურის სექტორის საერთაშორისო როლის ზრდასა და მნიშვნელობას, აკვაკულტურული მეურნეობების ბიზნესმოდელების თეორიულ გააზრებას.

პირველი ქვეთავი მოიცავს იმპორტშემცვლელი პოლიტიკის კომპლექსურ კვლევას. ამ ნაწილში დეტალურად არის განხილული იმპორტის ჩანაცვლების სტრატეგიული ასპექტები, ევოლუცია და გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე. იდენტიფიცირებულია და განმარტებულია იმპორტშემცვლელი პოლიტიკის ტერმინის სინონიმები (იმპორტჩანაცვლებელი (Import substitution), შიდა წარმოებაზე ორიენტირებული სავაჭრო პოლიტიკა (Inward-looking Trade Strategy), იმპორტის ჩანაცვლების ინდუსტრიალიზაცია (Import substitution industrialization)). ნაშრომში განხილულია მე-18 საუკუნის მიწურულიდან არსებული იმპორტშემცვლელი პოლიტიკის საწყისები. მოყვანილია კლასიკოსი მეცნიერების ხედვები, მათ შორის ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწის ალექსანდრე ჰამილტონის „მოხსენება მანუფაქტურების შესახებ“. ეკონომისტის ფრიდრიხ ლისტის მიხედვით თავისუფალი ვაჭრობა მხოლოდ განვითარებული ქვეყნებისთვისაა მომგებიანი, ხოლო განვითარებადმა სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან თავიანთი „ახალშობილი დარგები“ (Infant Industries). ლისტის ნაშრომში გამოყოფილია განვითარების 4 ფაზა: იმპორტირებული საქონლის წარმოების წახალისება, შიდა წარმოების დაწყება სახელმწიფო დაცვით, შიდა ბაზრის სრული მომარაგება და საბოლოოდ - ექსპორტი. ეკონომისტი რაულ პრებიში ხაზს უსვამდა, რომ საბაზრო ძალები დამოუკიდებლად ვერ უზრუნველყოფენ განვითარებადი ქვეყნების პროგრესს. პრებიშის მსგავსად, შვედი მეცნიერი გუნარ მიურდალი ამტკიცებდა, რომ მთავრობამ უნდა შეცვალოს ქვეყნის იმპორტის სტრუქტურა. პრებიშმა და მიურდალმა დაინახეს ხარვეზები იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკის განხორციელებაში, მაგრამ არასდროს დაუჭირათ მხარი განვითარებად ქვეყნებში იმპორტის ბარიერების შემცირებაზე. ეკონომისტი სელსო ფურტადო კი იმპორტის ჩანაცვლების ინდუსტრიალიზაციას განიხილავდა როგორც სტრუქტურული ტრანსფორმაციის იარაღს, რათა თავიდან იქნას აცილებული ტექნოლოგიური დამოკიდებულება. პროფესორი, დოქტორი თიენბიაო ზუ თავის ნაშრომებში აღნიშნავს, რომ ქვეყანას იმპორტშემცვლელი დარგების გარეშე უფრო დიდი ეკონომიკური წარმატების მიღწევა შეუძლია, თუმცა ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ნაკლებად ექნება მყარი ინდუსტრიული ბაზა. ნაშრომში განხილულია არა მხოლოდ მხარდამჭერი მეცნიერების მოსაზრებები, არამედ ამ პოლიტიკის კრიტიკოსი ეკონომისტების არგუმენტებიც. ესტონელი ეკონომისტი რაგნარ ნურკსე მხარს უჭერდა „დაბალანსებული ზრდის“ პოლიტიკას; ამერიკელი პროფესორი ალბერტ ჰირშმანი კი ამტკიცებდა, რომ პროტექციონიზმის

მომხრეები „უხალისოდ ამჩნევდნენ იმპორტსა და ინდუსტრიალიზაციას შორის კავშირს“. სახელმწიფოს ჭარბი ჩარევა განაპირობებს ბიუროკრატის ზრდას, კორუფციასა და რესურსების ფლანგვას.

1960-იანი წლების შუა ხანებში ეკონომიკურ აზროვნებაში აქცენტმა იმპორტის ჩანაცვლებიდან ექსპორტის ხელშეწყობაზე გადაინაცვლა. ნეოლიბერალები, იმპორტის ჩანაცვლების ალტერნატივად თავისუფალი ვაჭრობისა და ექსპორტის ხელშეწყობას განიხილავენ. მათი არგუმენტი ემყარება მოსაზრებას, რომ ვაჭრობა უზრუნველყოფს ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაცემას. ქვეყანა კონცენტრირებულია იმ პროდუქციის ექსპორტზე, რასაც უკვე აწარმოებს და არა იმ პროდუქციის განვითარებაზე, რისი წარმოება და ექსპორტიც მას შეეძლება (ა. კრუგერი, ბ. ბალასა, ა. ამსდენი, მ. შაფაედინი).

როგორც იმპორტის ჩანაცვლებას, ასევე ექსპორტის ხელშეწყობას აქვს თავისი უპირატესობები და შეზღუდვები. იმპორტის ჩანაცვლება მნიშვნელოვანია შიდა ინდუსტრიალიზაციის საფუძვლის ჩაყრისთვის, ხოლო ექსპორტის ხელშეწყობა ზრდის ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკაში. იმპორტმცმცვლელი პოლიტიკის უპირატესობებში გამოყოფილია შემდეგი ფაქტორები: ადგილობრივი ინდუსტრიების განვითარება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა; საგარეო ეკონომიკურ შოკებზე დამოკიდებულების შემცირება; შიდა ბაზრისთვის ინოვაციების სტიმულირება. ნაშრომში ხაზგასმულია ადგილობრივი წარმოების განვითარების მულტიპლიკაციური ეფექტი. „არასაჭირო იმპორტი“ ზრდის ფასების მერყეობის რისკს და იწვევს ფინანსური რესურსების ქვეყნიდან „გაჟონვას“. თავის მხრივ, ექსპორტის ხელშეწყობის უპირატესობებში გამოყოფილია უცხოური ვალუტის შემოსავლების ზრდა; გლობალურ ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის ამაღლება; საერთაშორისო შესაძლებლობებზე წვდომის გაფართოება გადამზიდავებისა და მიწოდების გლობალური ჯაჭვის მომსახურების მეშვეობით და სხვა.

მეცნიერთა ნაწილი ავითარებს მოსაზრებას, რომ ნებისმიერ ინდუსტრიაში იმპორტის ჩანაცვლება წინ უსწრებს ექსპორტის ხელშეწყობას. ამასთან, იმპორტის ჩანაცვლებისა და ექსპორტის ხელშეწყობის ნაზავი შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ინდუსტრიაში დროის ცალკეულ მონაკვეთში (პ. კრუგმანი, ა. იანგი, პ. სტრიტენი და სხვები). აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო დისკურსში გამოიყოფა აზრი იმის შესახებ, რომ ხელი უნდა შეეწყოს კონკურენტულ იმპორტჩანაცვლებას, რაც გულისხმობს ისეთი დარგის შერჩევას, რომელზეც ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მაღალი და სტაბილური მოთხოვნაა. ნაშრომში ამ კუთხით გაანალიზებულია აშშ-ის, იაპონიის, სამხრეთ კორეის, ტაილანდისა და თურქეთის მაგალითები.

ქართველ მეცნიერთა არაერთ კვლევაშია დასაბუთებული საქართველოში აგროსასურსათო პროდუქტების თვითუზრუნველყოფის დაბალი დონე. ამ პრობლემის გადაჭრის უმთავრეს გზად კი ადგილობრივი წარმოების გაზრდა და

იმპორტის შემცირებაა მიჩნეული. ამჟამად აგროსასურსათო სექტორში იმპორტი ექსპორტს დაახლოებით სამჯერ აღემატება. სასურსათო უსაფრთხოების გლობალური ალიანსის მონაცემებით, 2022-2024 წლებში საქართველოში საშუალო ან მძიმე სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა მოსახლეობის 26.6%-ს (დაახლოებით 1 მილიონ ადამიანს) ჰქონდა. ქართველი ეკონომისტი ზვიად ბემკენაძე თავის სტატიაში „იმპორტშენაცვლება და ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება“ განმარტავს, რომ იმპორტშენაცვლების პოლიტიკა მიზნად ისახავს თვითმყოფადი ეკონომიკის ჩამოყალიბებას შიდა წარმოების გაძლიერებითა და უცხოური პროდუქციის კონკურენტუნარიანი, ხელმისაწვდომი ადგილობრივი ალტერნატივებით ჩანაცვლებით. პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი წიგნში „საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები“ საქართველოს აგრარული პოლიტიკის სტრატეგიის მიზნების დასახვაში გამოყოფს ადგილობრივი პროდუქციით იმპორტის ჩანაცვლების აუცილებლობას და პრიორიტეტად სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობისა და მეთევზეობის ეკონომიკის განვითარებას მიიჩნევს. ქართველი მეცნიერები თავიანთ ნაშრომებში მიუთითებენ კომპლექსური მიდგომის შემუშავების აუცილებლობაზე, რომელიც ერთდროულად დაეფუძნება ადგილობრივი წარმოებით იმპორტის ჩანაცვლებას და საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურ სტიმულირებას (ე. ხარაიშვილი, მ. სუქნიშვილი, ე. ლეკაშვილი, გ. კრავეიშვილი, გ. ერქომაიშვილი, ი. ნაცვლიშვილი, პ. კოლუაშვილი, ნ. ჩიხლაძე, თ. უთნელიშვილი და სხვები).

იმპორტშემცველი ეკონომიკური პოლიტიკის ლიტერატურის მიმოხილვა აჩვენებს, რომ ეს სფერო განიცდის ტრანსფორმაციას. მცირე და ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის იმპორტშემცველი პოლიტიკა არ უნდა იქნეს გააზრებული როგორც იმპორტის სრული აკრძალვა, არამედ როგორც ტექნოლოგიური ნახტომით სტრუქტურული დივერსიფიკაცია და ინტეგრირებული პროტექციონიზმი (ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა სტანდარტების დანერგვის პარალელურად, რაც უზრუნველყოფს ექსპორტის პოტენციალის ათვისებას). წარმატებულ ქვეყნებში იმპორტის ჩანაცვლება იყო მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპი ექსპორტზე ორიენტირებული ინდუსტრიალიზაციისთვის. თანამედროვე ეტაპზე იმპორტშემცველი პოლიტიკა არ ნიშნავს იზოლაციონიზმს. წარმატების გასაღები „სწავლა კეთების პროცესში“ (Learning by doing) ეფექტა და სახელმწიფო სუბსიდიების მკაცრი მონიტორინგშია.

პირველი თავის მეორე ქვეთავში განხილულია აკვაკულტურის სექტორის ტენდენციები, დინამიკა და სტრატეგიული მნიშვნელობა გლობალური სასურსათო უსაფრთხოების კონტექსტში. აღწერილია აკვაკულტურის, როგორც „ლურჯი ეკონომიკის“ ერთ-ერთი ყველაზე დინამიური სექტორის, არსი და სტრუქტურა. განმარტებულია, რომ აკვაკულტურა მოიცავს წყლის ორგანიზმების მოშენებას კონტროლირებად გარემოში, როგორც შიდა წყლის ობიექტებში, ისე საზღვაო გარემოში (მარიკულტურა). ხაზგასმულია, რომ ეს დარგი წარმოადგენს „ველური, ღია

წყლებში მოპოვებული წყლის ორგანიზმების მდგრად ალტერნატივას“. ნაშრომში გააზრებულია ფუნდამენტური განსხვავება ტრადიციულ თევზჭერასა და აკვაკულტურას შორის, რაც ძირითადად მმართველობის ფორმებსა და კონტროლის მექანიზმებში გამოიხატება: თევზჭერა დამოკიდებულია ბუნებრივ აღწარმოებაზე (დბალი კონტროლი), ხოლო აკვაკულტურა ხასიათდება მაღალი კონტროლით მართვადი სასიცოცხლო ციკლების მეშვეობით; თუ თევზჭერისთვის მთავარი რისკი რესურსების სიმწირე და კლიმატური ცვალებადობაა, აკვაკულტურა ისეთი გამოწვევების წინაშე დგას, როგორცაა დაავადებათა აფეთქება, ბაზრის არასტაბილურობა და მაღალი კაპიტალური ხარჯები.

**ცხრილი 1. აკვაკულტურის განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტები და მრავალგანზომილებიანი ეკონომიკური სარგებლიანობის დეტერმინანტები**

არგუმენტი	დასაბუთება
ველური პოპულაციების შემცირების შერბილება და ეკოსისტემის აღდგენა	აკვაკულტურა კონსერვაციის პროაქტიული ინსტრუმენტია. სტაბილური მარაგი აუცილებელია, რათა ზედმეტად ესპლუატირებულ პოპულაციებს მიეცეთ აღდგენისთვის საჭირო დრო და ეკოლოგიური სივრცე. აკვაკულტურის სისტემა ეკოლოგიური კოლაფსის წინააღმდეგ აუცილებელ ბუფერს წარმოადგენს.
გლობალური სასურსათო უსაფრთხოებისა და კვებითი რაციონის გაუმჯობესება	აკვაკულტურულ მეურნეობაში წარმოებული პროდუქცია მაღალი მოთხოვნის მქონე სიცოცხლისათვის აუცილებელი ნივთიერებათა - ცილის წყაროა. მდგრადი აკვაკულტურა უზრუნველყოფს ცილის საიმედო და პროგნოზირებადი რაოდენობის არსებობას, რაც გადაწყვეტი ფაქტორია მზარდი გლობალური მოსახლეობის კვებითი საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის.
ეკონომიკური მდგრადობა და სოფლად მიცხოვრები მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობა	თევზჭერისგან განსხვავებით, რომელიც არასტაბილურ და გამომფიტველ ბუნებრივ გარემოზეა დამოკიდებული, კონტროლირებადი მეურნეობა მინიმუმამდე ამცირებს რესურსების სიმწირესთან ან კლიმატით გამოწვეულ მარაგთა გადაადგილებასთან დაკავშირებულ ბაზრის დარღვევებს. გარდა ამისა, რესურსებით ღარიბ ადგილებში აკვაკულტურას შეუძლია ჩაანაცვლოს მიწათსარგებლობის ტრადიციული დარგები, რაც გააუმჯობესებს სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს. აკვაკულტურა ქმნის სტაბილურ, მაღალი ღირებულების მქონე სამუშაო ადგილებს სოფელსა და სანაპირო რაიონებში.
ტექნოლოგიური ინოვაციების, მენეჯმენტისა და კვლევის ჩართვის შესაძლებლობა	კონტროლირებადი საოფლო-სამეურნეო საქმიანობის სახით, აკვაკულტურა საშუალებას იძლევა წარმოების ეფექტიანობის, ოპტიმიზაციის მიზნით უნდა ინტეგრირდეს მეცნიერება და ინოვაციები. აკვაკულტურა უზრუნველყოფს ლურჯი ბიოტექნოლოგიის წარმატებით დანერგვისთვის საჭირო კონტროლირებად გარემოს და არის ბიომასის წყარო.
კლიმატის ცვლილების შერბილება და სანაპირო ზოლის დაცვა	თევზისა და მოლუსკების წარმოებისათვის საჭიროა ნაკლები მიწის რესურსი. თევზისა და მოლუსკების წარმოება მეცხოველეობის ფერმებთან შედარებით (მაგალითად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი) ხასიათდება ნაკლები ნახშირბადის ემისიით. მოსახლეობის ზრდასთან ერთად, აკვაკულტურა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მდგრადი ცილის მიწოდებაში, რითაც ამცირებს ზეწოლას მაღალი ემისიის მქონე სოფლის მეურნეობაზე. გარდა

	ამისა, მდგრადი მართული სანაპირო ეკოსისტემა უზრუნველყოფს ადგილობრივი თემების დაცვას ზღვის დონის აწევის, წყალდიდობებისა და შტორმებისგან, ქმნის ბუნებრივ ბარიერებს.
გაძლიერებული მმართველობა და მარეგულირებელი კონტროლი	ღია ოკეანეში არსებული თევზჭერის ობიექტებისგან განსხვავებით, რომლებიც მოქმედებენ ღია ოკეანეში და რთულია მათი მონიტორინგი, აკვაკულტურის ობიექტები ექვემდებარებიან მიზანმიმართულ მმართველობას. მარეგულირებლებს შეუძლიათ ლიცენზირების მოთხოვნების მეშვეობით დააწესონ კონკრეტული სტანდარტები გარემოსდაცვითი მაჩვენებლების, ცხოველთა კეთილდღეობისა და ნარჩენების მართვისთვის.

**წყარო:** შედგენილია ავტორის მიერ FAO-ს „მდგრადი აკვაკულტურის სახელმძღვანელო პრინციპებზე“ (Guidelines for Sustainable Aquaculture) დაყრდნობით (FAO, 2025)

ნაშრომში მკაფიოდ არის გამოკვეთილი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მსოფლიო მოსახლეობის ზრდასა და აკვაკულტურის განვითარების აუცილებლობას შორის ვინაიდან ველური თევზის მარაგები მცირდება (-0,84% CAGR 2020-2023 წლებში), აკვაკულტურა ხდება ერთადერთი გზა მზარდი გლობალური მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის.

**ცხრილი 2. აკვაკულტურისა და მეთევზეობის სექტორების განვითარების დინამიკა და საშუალო წლიური ზრდის ტემპების (CAGR) შედარებითი ანალიზი (2000-2023 წწ.)**

სექტორი	საშუალო წლიური ზრდის ტემპი CAGR (2000-2023)	საშუალო წლიური ზრდის ტემპი CAGR (2020-2023)	კომენტარი
აკვაკულტურა	+4,94%	+4,60%	ზრდა სტაბილურია, ოდნავ შენეებული 2020-2023 წლებში.
მეთევზეობა	-0,11%	-0,84%	განიცდის სტაგნაციას. შემცირება დაჩქარდა ბოლო 3 წლის განმავლობაში.
მთლიანი წარმოება	+1,77%	+1,84%	მთლიანი წარმოების ზრდა შენარჩუნებულია, მიუხედავად მეთევზეობის სექტორის კლებისა.

**წყარო:** შედგენილია ავტორის მიერ, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებზე დაყრდნობით.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემები ადასტურებს, რომ 2020 წელს პირველად ისტორიაში აკვაკულტურის წარმოებამ გადააჭარბა ველური თევზჭერის მოცულობას ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი პროდუქციის ნაწილში. ეს ტენდენცია გრძელდება: 2023 წელს აკვაკულტურის წილმა მთლიან წარმოებაში 52%-ს მიაღწია, მაშინ როცა 2000 წელს ეს მაჩვენებელი მხოლოდ 26% იყო. FAO-ს „ლურჯი ტრანსფორმაციის გზამკვლევის“ თანახმად, 2030 წლისთვის სექტორის 35-40%-იან ზრდაა მოსალოდნელი. ხოლო 2050 წლისთვის წყლის ცხოველების საკვებად მოხმარების 2022 წლის დონეზე (20,7 კგ ერთ

სულ მოსახლეზე) შესანარჩუნებლად საჭიროა ამ პროდუქტის არსებული მარაგის 36 მილიონი ტონით გაზრდა, რაც 22%-იანი ზრდას მოითხოვს.

ანალიზი აჩვენებს მკვეთრ რეგიონულ დისბალანსს: აზია დომინირებს გლობალური მოხმარების 71%-ით, ჩინეთში აკვაკულტურა შიდა წარმოების 85%-ს შეადგენს. ჩინეთი, როგორც უმსხვილესი მწარმოებელი, ინარჩუნებს თავის სტატუსს (ბოლო მონაცემების თანახმად, აკვაკულტურა 4%-ით გაიზარდა, ხოლო თევზჭერა სტაბილური დარჩა). ამის საპირისპიროდ, ევროკავშირი, სადაც წარმოება კონცენტრირებულია ოთხ ქვეყანაში (ესპანეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, იტალია), დიდწილად იმპორტზეა დამოკიდებული (მოხმარების დაახლოებით 60%). ევროპული აკვაკულტურის კონკურენტუნარიანობის შემაფერხებელ ფაქტორებად შეფასებულია მაღალი საოპერაციო ხარჯები და მკაცრი რეგულაციები.

**ცხრილი 3. საკვები წყლის ბიორესურსების გლობალური ბაზრის კონიუნქტურა - წარმოების, საერთაშორისო ვაჭრობისა და მოხმარების ინტეგრირებული მაჩვენებლები (2022 წ.)**

კატეგორია	მაჩვენებელი
მთლიანი გლობალური წარმოება (რაოდენობა) (წყალმცენარეების გარეშე)	185,4 მილიონი ტონა
მთლიანი გლობალური წარმოება (ღირებულება)(წყალმცენარეების გარეშე)	472 მილიარდი აშშ დოლარი
წარმოება: თევზჭერა	90 მილიონი ტონა
წარმოება: აკვაკულტურა	94,4 მილიონი ტონა (მათ შორის, აკვაკულტურულ ფერმაში (ხმელეთზე) – 62,6%, მარიკულტურა (ღია წყლებში) – 37,4%)
საერთაშორისო ვაჭრობის ჯამური მოცულობა (ბრუნვა/ღირებულება)	195 მილიარდი აშშ დოლარი
მოთხოვნა: გლობალური მოხმარება	165 მილიონი ტონა
მოთხოვნა: ერთ სულ მოსახლეზე მოხმარება	20,7 კგ/წელიწადში
ვაჭრობა: წამყვანი 5 ექსპორტიორი (ღირებულების მიხედვით)	1. ჩინეთი; 2. ნორვეგია; 3. ვიეტნამი; 4. ეკვადორი; 5. ჩილე.
ვაჭრობა: წამყვანი 5 იმპორტიორი (ღირებულების მიხედვით)	1. აშშ; 2. ჩინეთი; 3. იაპონია; 4. ესპანეთი; 5. საფრანგეთი.
დასაქმების საერთო რაოდენობა (პირველადი სექტორი)	61,8 მილიონი ადამიანი

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით (FAO, 2024).

აკვაკულტურა აღარ არის მხოლოდ მეთევზეობის დამხმარე დარგი, არამედ იგი გლობალური სასურსათო სისტემის წამყვან და ყველაზე სტაბილურად მზარდ კომპონენტად იქცა (4,94% CAGR). ტრადიციული თევზჭერის რესურსების ამოწურვა და მოსახლეობის დემოგრაფიული ზრდა სექტორის შემდგომ გარდაუვალ

გაფართოებას განაპირობებს. თუმცა, მდგრადი განვითარებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი რჩება ბალანსის დაცვა წარმოების ეფექტიანობასა და გარემოსდაცვით სტანდარტებს შორის, რაც „ლურჯი ტრანსფორმაციის“ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს.

პირველი თავის მესამე ქვეთავი ეხება აკვაკულტურაში ბიზნესმოდელების ევოლუციასა და კლასიფიკაციას. განხილულია ბიზნესმოდელის (BM) არსი და განვითარება. ბიზნესმოდელი განისაზღვრება არა მხოლოდ როგორც ოპერაციული გეგმა, არამედ როგორც ორგანიზაციის ლოგიკა, რომელიც აკავშირებს ტექნოლოგიურ პოტენციალს ეკონომიკურ შედეგებთან. ანალიზისას გამოკვეთილია კონცეფციის განვითარების შემდეგი ეტაპები: საწყისი ეტაპი, ტერმინის პირველად გამოყენება (1957 წ., რიჩარდ ბელმანი), ბიზნესმოდელის, როგორც მართვის ინსტრუმენტის ჩამოყალიბება (1975 წ., ედ კონცალი) და მისი აქტივობათა დინამიურ სისტემად განხილვა (2010 წ., რაფაელ ამიტი და კრისტოფ ზოტი). აღნიშნულია შუმპეტერის თეორიის როლი „ბიზნესმოდელისა“ და „ინოვაციის“ გადაკვეთასთან დაკავშირებით, ასევე მეცნიერების - ნიკოლაი ფოსისა და შინას საეზის - მოსაზრებები ინოვაციასა და იმიტაციას შორის კავშირზე. ბოლო ნაწილში დეტალურად არის გაანალიზებული შვეიცარიელი ბიზნესის თეორეტიკოსის ალექსანდრე ოსტერვალდერის „ბიზნესმოდელის ტილო“ (BMC), რომელიც 9 ურთიერთდაკავშირებული ბლოკისგან შედგება (მომხმარებელთა სეგმენტი, ღირებულების შეთავაზება, არხები, ურთიერთობები, შემოსავლების ნაკადები, რესურსები, აქტივობები, პარტნიორობა და ხარჯები). ნაშრომში ხაზგასმულია ტრადიციული მოდელის მოდიფიკაციის საჭიროება და შემოთავაზებულია სამშრიანი ბიზნესმოდელის ტილოს (TLBMC) გამოყენება, რომელიც 2016 წელს მკვლევარებმა ალექსანდრე ჯოისმა და რაიმონდ პაკენმა შეიმუშავეს. მოდელი აინტეგრირებს ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სოციალურ შრეებს. მოდელის სამეცნიერო იდეოლოგია ეფუძნება ინგლისელი მოღვაწის ჯონ ელკინგტონის „სამმაგი შედეგის“ (Triple Bottom Line) კონცეფციას: კომპანიის წარმატება უნდა გაიზომოს სამი მიმართულებით: ეკონომიკური სარგებელი (Economic (Profit), გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა (Environmental (Planet), სოციალური კეთილდღეობა (Social (People)). მოდელი არის სამი განზომილების ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაცია. ჰორიზონტალური ინტეგრაცია გამოიხატება თითოეული შრის (ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, სოციალური) შიგნით 9 კომპონენტის ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში, ხოლო ვერტიკალური ინტეგრაცია, მაგალითად, ეკონომიკური შრის „პარტნიორები“ უნდა შეესაბამებოდეს გარემოსდაცვითი შრის „მარაგებსა და აუთსორინგს“ და სოციალური შრის „ადგილობრივ თემებს“. მოდელი ხელს უწყობს მდგრადობაზე ორიენტირებული ცვლილებებითა და ინოვაციებით ბიზნესმოდელის გაუმჯობესებას.

ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება აკვაკულტურის ბიზნესმოდელების ტიპოლოგიასა და მათ შედარებით ანალიზს. სადისერტაციო ნაშრომში

წარმოდგენილია აკვაკულტურის მოდელების მრავალფეროვანი კლასიფიკაცია: გარემოს, წარმოების ინტენსივობის, წყლის მიმოცვლის სისტემების, საწარმოო ციკლის, ასევე თანამედროვე მოდელების მიხედვით. გაკეთებულია მათი შედარებითი ანალიზი ეკონომიკური, ბიოლოგიური და ეკოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით. ამასთანავე, ჩამოყალიბებულია 14 არგუმენტი თუ რატომ არის მნიშვნელოვანი აკვაკულტურის სექტორში ბიზნესმოდელის იდენტიფიცირება და შესწავლა (ეკონომიკური მდგრადობისთვის და რისკების მართვისთვის, ღირებულებათა ჯაჭვის შეფასებისთვის, ფერმერთა განვითარებისთვის, ლიცენზირების პროცედურის გამარტივებისთვის, ფინანსური ხელმისაწვდომობის ზრდისთვის, თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობებისთვის, მთლიანი შიდა პროდუქტისა (მშპ) და საგადასახადო შემოსავლების ზრდისთვის, სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისთვის, მიწოდების ჯაჭვის ოპტიმიზაციისთვის, დასაქმების ზრდისთვის და სამუშაო ძალის განვითარებისთვის, სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაციისთვის, ახალი ტექნოლოგიების დანერგვისთვის, სოციალური გარემოს გაუმჯობესებისთვის, რესურსების ოპტიმიზაციისთვისა და გარემოსდაცვითი მდგრადობისთვის). დასკვნის სახით გამოყოფილია მოსაზრება, რომ აკვაკულტურის სექტორში წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ ბიოლოგიურ პროცესებზე, არამედ სწორად იდენტიფიცირებულ და მდგრად ბიზნესმოდელზე. გადასვლა ინტუიციური მართვიდან მონაცემებზე დაფუძნებულ მოდელირებაზე ზრდის პროგნოზირებადობას, ამცირებს საოპერაციო და კაპიტალურ რისკებს და უზრუნველყოფს დარგის მაკროეკონომიკურ კონკურენტუნარიანობას. საბოლოო ჯამში, თანამედროვე გაგებით აკვაკულტურის ბიზნესმოდელი არის რთული, დინამიური სისტემა, რომელიც სტრატეგიულად უნდა აკავშირებდეს ეკონომიკურ სარგებელს, გარემოსდაცვით პასუხისმგებლობასა და სოციალურ კეთილდღეობას.

სადოქტორო ნაშრომის მეორე თავი ფოკუსირებულია საქართველოს აკვაკულტურის სექტორის სისტემურ ანალიზზე, საბაზრო დინამიკასა და სტრუქტურულ თავისებურებებზე. კერძოდ, პირველი ქვეთავი ეხება საქართველოს აკვაკულტურის სისტემურ კვლევას - საბაზრო დინამიკასა და ინსტიტუციურ გარემოს. ნაშრომში განხილულია საქართველოს აკვაკულტურის განვითარების ეტაპები (საბჭოთა პერიოდი (1930-1950-იანი წლები), პოსტსაბჭოთა დეგრადაცია (1990-იანი წლები), აღდგენის ფაზა (2000-2010 წლები)). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2021 წლიდან აქვეყნებს ყოველწლიურ ანგარიშს მეურნეობების მახასიათებლების შესახებ.

აღნიშნული ანგარიშის ანალიზის ფარგლებში ყურადღება გამახვილებულია ბაზრის სტრუქტურაზე, სადაც გამოკვეთილია მკვეთრი დისბალანსი საოჯახო მეურნეობებსა და საწარმოებს შორის. აკვაკულტურული მეურნეობების 90%-ს ოჯახური მეურნეობები შეადგენს, ხოლო საწარმოების წილი მხოლოდ 10%-ია. აღინიშნება ეფექტიანობის პარადოქსი: მიუხედავად იმისა, რომ საწარმოები

წყალსატევების მხოლოდ 25-27%-ს ფლობენ, ისინი მთლიანი პროდუქციის თითქმის 40%-ს აწარმოებენ. საწარმოების პროდუქტიულობის ინდექსი (1,38) 1,6-ჯერ აღემატება ოჯახური მეურნეობების მაჩვენებელს (0,86). საწარმოების მაღალი ეფექტიანობა განპირობებულია ინტენსიური წარმოებითა და მასშტაბის ეკონომიით, ხოლო ოჯახური მეურნეობების დაბალ პროდუქტიულობას ტექნოლოგიური ჩამორჩენა და რესურსების ფრაგმენტაცია განაპირობებს. ნაშრომში გაანალიზებულია სექტორის მდგრადობის საფრთხეები, რომელიც მუშახელის დემოგრაფიულ სურათს უკავშირდება: მეურნეთა 52% 45-64 წლისაა, ხოლო 29% - 65 წელს გადაცილებული. ახალგაზრდების (25 წლამდე) ჩართულობა მინიმალურია (დაახლოებით 1%). სექტორი ხასიათდება გამოცდილი, მაგრამ ასაკოვანი ფერმერების სიმრავლით. სამუშაო ძალის დაბერება და ახალგაზრდა კადრების დეფიციტი აფერხებს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას და თაობათა ცვლის არარსებობის გამო ზრდის დარგის კოლაფსის საფრთხეს. ასევე, დარგში მკვეთრი გენდერული უთანასწორობაა - მეურნეობების 93%-ს მამაკაცები მართავენ, რომლებიც პროდუქციის 88%-ს აწარმოებენ. პროდუქტიულობის თვალსაზრისით, ძირითადი საქმიანობის მქონე სუბიექტები წარმოებაში კრიტიკულ როლს ასრულებენ, კერძოდ, მათზე მოდის თევზის მთლიანი წარმოების 84,3%. ეს ადასტურებს, რომ დარგს ძირითადად წარმოადგენენ ის სუბიექტები, რომლებიც სრულად არიან ფოკუსირებული თევზის წარმოებაზე.

აკვაკულტურული მეურნეობები გეოგრაფიულად არათანაბრად არის განაწილებული. ხუთი ძირითადი რეგიონი (სამეგრელო-ზემო სვანეთი, კახეთი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და აჭარა) მეურნეობების 80,2%-ს აერთიანებს. კახეთი ლიდერობს ტბორების ფართობით (72%), ხოლო შიდა ქართლი - აუზური მეურნეობებით (65%). ტბორულ მეურნეობებში წყლის ზედაპირის ფართობი დიდია, თუმცა ინტენსიური ტექნოლოგიების ნაკლებობის გამო პროდუქტიულობა ჰექტარზე დაბალია. აუზური მეურნეობები ორიენტირებულია ორაგლისებრთა (კალმახი) წარმოებაზე და იყენებენ გამდინარე წყლებს, რაც მაღალი ხარისხის პროდუქციის გარანტიაა. წარმოება ძირითადად ორიენტირებულია ისეთ სახეობებზე, როგორებიცაა ცისარტყელა კალმახი (წარმოების ლიდერია. ბაზრის დიდი ნაწილი სწორედ ამ სახეობაზე მოდის, რადგან მასზე მოთხოვნა სტაბილურია როგორც საცალო ქსელში, ისე რესტორნების სექტორში), კობრისებრთა ჯგუფი (კობრი, სქელშუბლა, ამური ძირითადად ტბორულ მეურნეობებში იწარმოება), ზუთხისებრნი (ზუთხის წარმოება იზრდება, თუმცა ის მოითხოვს დიდ ინვესტიციებს და ხანგრძლივ პერიოდს მოგების მისაღებად).

წარმოების დინამიკის ანალიზი აჩვენებს, რომ 2021 წლის პიკური მაჩვენებლის (2861 ტონა) შემდეგ შეინიშნება კლებისა და სტაბილიზაციის ტენდენცია 2450 ტონის ფარგლებში. საქართველოში თევზის წარმოების საშუალო წლიური ზრდის ტემპი (CAGR) არის 2,32%, რაც ნიშნავს, რომ 2017-2024 წლებში ადგილობრივი წარმოება ყოველწლიურად საშუალოდ ამ ნიშნულით იზრდებოდა. აღნიშნული მაჩვენებელი

დაბალია, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ ინფლაციის დონესა და არსებულ მზარდ მოთხოვნას. თუ მოთხოვნა თევზზე (მოსახლეობის და ტურისტების ხარჯზე) წლიურად უფრო მეტად იზრდება (რასაც ამყარებს რეალიზაციის მაჩვენებელი - 2024 წელს რეალიზაციის საშუალო მაჩვენებელმა 93,8% შეადგინა), ხოლო წარმოება მხოლოდ 2,32%-ით, ეს ნიშნავს, რომ დეფიციტი ყოველწლიურად ღრმავდება, რასაც იმპორტი ავსებს. ზრდა ხდება ძირითადად არსებული მცირე მეურნეობების ხარჯზე და სახეზეა „ორგანული ზრდა“, რაც სექტორში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ნაკლებობაზე მიუთითებს.

ფასების ანალიზი 2024 წლისთვის შემდეგ სურათს იძლევა: 1 კგ თევზის საშუალო ფასი ფერმის კართან 12,7 ლარი იყო. ფასების რეალური ცვლილების ანალიზისთვის 2024 წლის ფასები დაკორექტირდა სამომხმარებლო ფასების ინდექსით (ინფლაციის მაჩვენებლით, საბაზისო წელი - 2017). შედეგად მივიღეთ, რომ თევზის პროდუქტების რეალური ღირებულება შემცირებულია, გარდა ცისარტყელა კალმახისა, რომელზეც დაფიქსირდა ღირებულების 0,8 ლარით ზრდა.

საქსტატის 2024 წლის საგარეო ვაჭრობის მონაცემების თანახმად, თევზის იმპორტირებული პროდუქცია 15959,9 ტონას შეადგენს. მონაცემები გვიჩვენებს, რომ იმპორტი მკვეთრად გამოხატული ზრდის ან კლების ტენდენციით არ ხასიათდება. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2017 წელს (19651,3 ტონა), ხოლო ყველაზე დაბალი 2018 წელს (14727,4 ტონა). მიუხედავად პანდემიისა, 2020 წელს იმპორტი თითქმის არ შეცვლილა, თუმცა კლება დაფიქსირდა 2021 წელს (-9,6%), რაც გამოწვეული იყო ლოგისტიკური გაჭიმების რღვევით და/ან ადგილობრივი მოთხოვნის შემცირებით (მაგალითად, რესტორნების სექტორის შეზღუდვები, ტურიზმის კლება და სხვა). 2022 წელს იმპორტი მკვეთრად გაიზარდა (+26,6%), რაც უკავშირდება პოსტპანდემიურ აღდგენას, ტურიზმის ზრდას და ქვეყანაში მიგრაციული ნაკადების მატებას. იმპორტში დომინირებს გაყინული თევზი, რომელიც ფასისმიერ კონკურენციას უწევს ადგილობრივ კალმახს. საქართველო არის წმინდა იმპორტიორი. წელიწადში საშუალოდ 16000-18000 ტონა თევზის იმპორტი ნიშნავს ქვეყნიდან მილიონობით დოლარის გადინებას, რომელსაც ვუხდით უცხოელ მწარმოებლებს, ნაცვლად იმისა, რომ ეს თანხა ადგილობრივ ეკონომიკაში დარჩეს.

კვლევის ფარგლებში გაანალიზდა იმპორტის მონაცემები ძირითადი პარტნიორი ქვეყნების მიხედვით. გაანგარიშებამ აჩვენა, რომ ბაზრის წილები შემდეგნაირად ნაწილდება: წამყვანი მომწოდებელია ნორვეგია (21,71%), მას მოსდევს თურქეთი (13,51%) და ჩილე (11,03%). დანარჩენი მომწოდებლების ჯამური წილი 14,15%-ს შეადგენს. თითოეული ქვეყნის საბაზრო წილის კვადრატების შეჯამების შედეგად მიღებულმა ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა შეადგინა:  $HHI = 1241$ . ვინაიდან მიღებული მაჩვენებელი (1241) ნაკლებია 1500-ზე, საკვლევი იმპორტის ბაზარი კლასიფიცირდება როგორც დაბალკონცენტრირებული. ბაზარი ხასიათდება მიწოდების წყაროების დივერსიფიკაციით, თუმცა ახლოს არის ზღვრულ მაჩვენებელთან.

იმპორტის წილი შიდა მოხმარებაში 2017-2024 წლებში 84%-დან 91%-მდე მერყეობს. 2024 წლის მონაცემით კი 86%-ია. ბაზარზე შეინიშნება ადგილობრივი წარმოების სიმცირე - თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი მხოლოდ 14%-ს შეადგენს. ეს მიანიშნებს, რომ ადგილობრივი მწარმოებლები ან ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნას, ან მათი პროდუქცია ვერ უწყევს კონკურენციას იმპორტირებულ პროდუქციას (ფასი და/ან ხარისხი). საქართველო არის „ფასის მიმღები“ (Price taker). იმპორტზე მაღალი დამოკიდებულება დარგს ხდის მეტად მგრძობიარეს ვალუტის კურსის გაუფასურების, საერთაშორისო ბაზარზე არსებული გამოწვევებისა და სხვა გარე ფაქტორების წინაშე, რომლებიც მყისიერად აისახება ქართველი მომხმარებლის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. თუმცა, მეორე მხრივ, ეს არის ბაზრის თავისუფალი მოცულობა, რომელიც ადგილობრივი წარმოების განვითარების პირობებში დარგის სამომავლო ზრდის დიდ პოტენციალზე მიუთითებს.

**ცხრილი 4. ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები**

წელი	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
იმპორტი (ტონა)	19651	14727	16408	16567	14979	18958	18310	15960
ექსპორტი (ტონა)	1569	3928	1768	4170	760	919	1125	1549
რეექსპორტი (ტონა)	146	12	114	1305	85	265	359	300
ადგილობრივი წარმოება (ტონა)	2042	2381	2465	2072	2861	2792	2470	2453
ბაზრის მთლიანი მიწოდება <sup>1</sup> (ტონა)	21693	17109	18872	18639	17840	21749	20779	18413
წმინდა იმპორტი <sup>2</sup> (ტონა)	19506	14715	16294	15262	14894	18693	17951	15660
შიდა მოხმარება <sup>3</sup> (ტონა)	15895	8406	12062	9020	11273	14982	14356	11659
იმპორტის წილი მოხმარებაში <sup>4</sup> (%)	91%	86%	87%	88%	84%	87%	88%	86%
თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი <sup>5</sup> (%)	10%	18%	10%	14%	17%	13%	13%	15%

**წყარო:** შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით.

ნაშრომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია წარმოების თვითღირებულების ანალიზი. ქართული აკვაკულტურა კრიტიკულად არის დამოკიდებული უცხოურ რესურსებზე, რაც პირდაპირ აისახება პროდუქციის თვითღირებულებაზე. საქართველოში წარმოებული თევზის თვითღირებულების 60-70%-ს საკვები შეადგენს, რომელიც თითქმის სრულად იმპორტირებულია.

<sup>1</sup> ადგილობრივი წარმოება - იმპორტის მოცულობა

<sup>2</sup> იმპორტის მოცულობა - რეექსპორტის მოცულობა

<sup>3</sup> ადგილობრივი წარმოებას + იმპორტის მოცულობა - (ექსპორტის მოცულობა + რეექსპორტის მოცულობა)

<sup>4</sup> წმინდა იმპორტი / (ადგილობრივი წარმოება + წმინდა იმპორტი)

<sup>5</sup> ადგილობრივი წარმოება / (ადგილობრივი წარმოება + იმპორტის მოცულობა - ექსპორტის მოცულობა)

საქართველოში არ ხდება მაღალტექნოლოგიური, ექსტრუდირებული საკვების წარმოება, რის გამოც მეურნეობების 100% დამოკიდებულია იმპორტზე (ძირითადად თურქეთიდან, საბერძნეთიდან და ევროკავშირის ქვეყნებიდან).

გამომდინარე იქიდან, რომ საკვები უცხოურ ვალუტაშია შესყიდული, ლარის გაუფასურება ავტომატურად ზრდის თევზის თვითღირებულებას, რაც ადგილობრივ პროდუქციას არაკონკურენტულს ხდის სტაბილური ფასის მქონე იმპორტირებულ პროდუქციასთან შედარებით. ქართული თევზის ფასის დიდ ნაწილს რეალურად უცხო ქვეყნების ეკონომიკური ფაქტორები განსაზღვრავს. მცირე მეურნეობებისათვის რთლია პირდაპირი კავშირის დამყარება მსხვილ სავაჭრო ქსელებთან, რის გამოც ისინი დამოკიდებულნი არიან შუამავლებზე, რაც მათ საბოლოო მოგებას მნიშვნელოვნად ამცირებს.

მაღალპროდუქტიული ჯიშების მისაღებად, განსაკუთრებით საკალმახე მეურნეობებში, ხდება განაყოფიერებული ქვირითის იმპორტირება, რადგან ადგილობრივი სადედე გუნდების ხარისხი ხშირად ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე სტანდარტებს და არ არიან მედეგები სხვადასხვა დაავადებების მიმართ. ასევე, იმ მცირე რაოდენობის მეურნეობებში, სადაც გვხვდება წყლის ფილტრაციის სისტემები, ავტომატური მკვებავები და აერატორები სრულად იმპორტირებულია, რაც მოითხოვს დიდ კაპიტალურ დანახარჯებს.

საბოლოოდ, დარგის ძირითად შემაფერხებელ ფაქტორებად იკვეთება: წარმოების მცირე მასშტაბები და ოჯახური მეურნეობების ტექნოლოგიური ჩამორჩენა; მუშახელის დაბერება და ახალგაზრდების დაბალი ჩართულობა; წარმოების თვითღირებულების ზრდა, რაც ამცირებს კონკურენტუნარიანობას იმპორტთან მიმართებაში. იმპორტი ერთდროულად არის მამველი რგოლიც (რადგან მის გარეშე წარმოება გაჩერდებოდა საკვების არარსებობის გამო) და ბარიერიც (რადგან იაფი იმპორტირებული პროდუქცია ზღუდავს ადგილობრივი ფერმერების განვითარების მოტივაციას).

სექტორის შემდგომი განვითარება კრიტიკულად არის დამოკიდებული სტრატეგიულ ცვლილებებზე: ადგილობრივი საკვების წარმოების განვითარებაზე, პროდუქციაზე დამატებითი ღირებულების შექმნაზე, მეურნეობების გამსხვილებაზე, კოოპერაციის ხელშეწყობაზე, ტექნოლოგიების განვითარებაზე, ინტენსიური მეურნეობების შექმნასა და თანამედროვე ტექნოლოგიების (მაგ. RAS - წყლის რეცირკულაციური სისტემები) დანერგვაზე. საქართველოს აკვაკულტურა იმყოფება გარდამავალ ეტაპზე, სადაც აუცილებელია ინტეციური წარმოებიდან გემიურ და მაღალტექნოლოგიურ მოდელზე გადასვლა.

სადისერტაციო ნაშრომის შემდეგი ნაწილი ეფუძნება აკვაკულტურული წარმოების ეკონომეტრიკულ ანალიზს, სადაც დასაბუთებულია მოდელის შერჩევის ლოგიკა. კვლევის მიზანია არა მკაცრი მიზეზ-შედეგობრივი (კაუზალური) კავშირების დადგენა, არამედ დარგში არსებული ასოციაციური ურთიერთკავშირებისა და ტენდენციების იდენტიფიცირება. საქსტატის მონაცემები

მოცავს მოკლე პერიოდს (2017-2024 წლები), რაც თავისუფლების ხარისხის სიმცირეს განაპირობებს. კვლევაში ყოველი ახალი ფაქტორის დამატება ამცირებს თავისუფლების ხარისხს, რაც 8 დაკვირვების პირობებში რეგრესიულ მოდელს სტატისტიკურ შინაარსს უკარგავს. პრობლემის გადასაჭრელად გამოყენებულია პანელური მონაცემები, რაც ზრდის დაკვირვებათა რაოდენობას. შედეგად მოდელი უფრო მდგრადი და სანდოა. საშედეგო ცვლადად (Y) გამოყენებულია გამოშვების მოცულობა (ტონებში). ეს მიდგომა მეთოდოლოგიურად უფრო გამართლებულია, რადგან გამოორიცხავს ინფლაციისა და ფასების მერყეობის გავლენას. ინტერპრეტაციის გასამარტივებლად გამოყენებულია ლოგარითმული სპეციფიკაცია (log-level მოდელი), რაც საშუალებას იძლევა მიღებული კოეფიციენტები პროცენტულ ჭრილში შეფასდეს.

ჰიპოთეზები:

H\_0 (ნულოვანი ჰიპოთეზა): შერჩეულ ფაქტორებს არ აქვს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა აკვაკულტურული წარმოების მოცულობაზე.

H\_1 (ალტერნატიული ჰიპოთეზა): შერჩეულ ფაქტორებს აქვს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა აკვაკულტურული წარმოების მოცულობაზე.

ჰიპოთეზები ფაქტორების მიხედვით:

H\_1.1 ტბორების ფართობი სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აკვაკულტურულ წარმოებაზე.

H\_1.2 აუზების ფართობი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წარმოებაზე.

H\_1.3 აკვაკულტურული საქმიანობის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წარმოებაზე.

H\_1.4 კომბინირებული საკვების რაოდენობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წარმოებაზე.

H\_1.5 დანახარჯების ინდექსი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აკვაკულტურულ წარმოებაზე.

H\_1.6 აკვაკულტურული საქმიანობის ხანგრძლივობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აკვაკულტურულ წარმოებაზე.

შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტები:

კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი (Adjusted R<sup>2</sup>): მოდელის შედარებითი სიზუსტის მთავარი კრიტერიუმი;

ANOVA ტესტი და F-სტატისტიკის მნიშვნელოვნობა (Significance F): მოდელის საერთო სტატისტიკური ვალიდურობის შესაფასებლად;

კოეფიციენტების t-ტესტები და P-value მაჩვენებლები: ცალკეული ფაქტორების მნიშვნელოვნების დასადგენად.

რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა რამდენიმე მკაფიო კავშირი. აკვაკულტურული წარმოების მოცულობა ყველაზე მჭიდრო კავშირშია საწარმოო სივრცის მახასიათებლებთან, კერძოდ - ტბორებისა და აუზების ფართობთან.

მიღებული შედეგის მიხედვით, ტბორების ფართობის ერთი ჰექტარით ზრდა, სხვა პირობების უცვლელობისას, ასოცირებულია აკვაკულტურული წარმოების დაახლოებით 53%-იან მატებასთან. გასათვალისწინებელია, რომ პრაქტიკაში მეურნეობების ფართობის ზრდა ხშირად ხდება არა ერთი, არამედ ათობით ჰექტარის მასშტაბით. საქართველოს აკვაკულტურის სექტორის სპეციფიკის გათვალისწინებით მიღებული შედეგები ეკონომიკური თვალსაზრისით სრულიად ლოგიკურია. საქართველოში აკვაკულტურული წარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი დაფუძნებულია ტბორულ მეურნეობებზე, განსაკუთრებით კობრისებრთა წარმოებაში. ასეთ სისტემებში წარმოების მასშტაბი პირდაპირ არის დამოკიდებული თევზის მოსაშენებლად გამოყენებულ ფართობზე. მისი ზრდა იძლევა წყლის მასისა და, შესაბამისად, საბოლოო ბიომასის გაზრდის შესაძლებლობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია აუზების ფართობის მოდელი, რომლის მიხედვითაც აუზური მეურნეობების ფართობის ერთი ჰექტარით ზრდა ასოცირებულია აკვაკულტურული წარმოების მოცულობის დაახლოებით 9%-იან ზრდასთან. მსგავსი შედეგი ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რადგან აუზური სისტემები, როგორც წესი, უფრო ინტენსიური წარმოების ტექნოლოგიებს ეფუძნება და ერთეულ ფართობზე უფრო მაღალი პროდუქტიულობის მიღწევის შესაძლებლობას იძლევა.

აკვაკულტურის, როგორც ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის, მოდელით მიღებული შედეგებით, აღნიშნული ცვლადის ერთი პროცენტული პუნქტით ზრდა იწვევს წარმოების მოცულობის დაახლოებით 4,5%-იან მატებას. ეს შედეგი მიუთითებს, რომ სექტორის პროფესიონალიზაციისა და სპეციალიზაციის დონე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წარმოების მასშტაბებზე. იმ რეგიონებში, სადაც აკვაკულტურა წარმოადგენს ფერმერების ძირითად საქმიანობას, როგორც წესი, უფრო მაღალია ტექნოლოგიური ცოდნა, უკეთ არის ორგანიზებული წარმოების პროცესი და უფრო აქტიურად გამოიყენება თანამედროვე საწარმოო მეთოდები. შესაბამისად, ასეთი მეურნეობები უფრო მაღალი პროდუქტიულობით ხასიათდება.

კვლევის ფარგლებში შეფასებულმა კიდეც ერთმა ფაქტორმა - კომბინირებული საკვების გამოყენების რაოდენობამ - ასევე გამოავლინა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი წარმოების მოცულობასთან. მიღებული შედეგების მიხედვით კომბინირებული საკვების ერთი ტონით ზრდა ასოცირებულია წარმოების მოცულობის დაახლოებით 0,24%-იან ზრდასთან. მიუხედავად იმისა, რომ ერთი ერთეულის ეფექტი შედარებით მცირე ჩანს, პრაქტიკაში საკვების რაოდენობა ხშირად იზრდება ათეულობით ტონით, რაც საბოლოო ჯამში წარმოების საგრძნობ მატებას განაპირობებს. აღნიშნული შედეგი სრულად შეესაბამება აკვაკულტურის ტექნოლოგიურ სპეციფიკას.

კვლევაში შეფასებული სხვა ორი ფაქტორი - საქმიანობის ხანგრძლივობა და მიმდინარე დანახარჯების ინდექსი - არ აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. მიღებული შედეგები ნათლად აჩვენებს, რომ საქართველოს აკვაკულტურის სექტორში წარმოების მოცულობის განმსაზღვრელი ფაქტორები პირველ რიგში

დაკავშირებულია ფიზიკურ საწარმოო რესურსებთან და ტექნოლოგიური ინტენსივობის დონესთან. კვლევა აჩვენებს, რომ მომავალი განვითარების სტრატეგია უნდა დაეფუძნოს არა მხოლოდ ფართობების ზრდას, არამედ ინტენსიური სისტემების (აუზების) დანერგვასა და ფერმერების სპეციალიზაციის ხელშეწყობას.

**ცხრილი 5. რეგრესიის მოდელის შეფასების შედეგები**

მახასიათებელი	ტბორების ფართობის მოდელი	აუზების ფართობის მოდელი	საქმიანობის მნიშვნელოვნების მოდელი	კომბინირებული საკვები	საქმიანობის ხანგრძლივობის მოდელი	მიმდინარე დანახარების მოდელი
<b>მოდელის სტატისტიკა</b>						
დეტერმინაციის კოეფიციენტი/R Square	0.91	0.82	0.59	0.60	0.06	7,91487EX10-5
კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი/Adjusted R Square	0.90	0.81	0.58	0.59	0.04	-0.03
სტანდარტული გადახრა/Standard Error	0.35	0.33	0.67	0.57	0.95	1.01
<b>ANOVA</b>						
F-სტატისტიკის მნიშვნელობა	285.88	103.81	50.22	52.94	3.03	0.00
მნიშვნელობის დონე (Significance)	<0.05, მნიშვნელოვანი	<0.05, მნიშვნელოვანი	<0.05, მნიშვნელოვანი	<0.05, მნიშვნელოვანი	>0.05 არ არის მნიშვნელოვანი	>0.05 არ არის მნიშვნელოვანი
კოეფიციენტი	0.5393	0.0923	0.0452	0.0024	-0.0759	-0.0057
სტანდარტული შეცდომა	0.03	0.00	0.00	0.00	0.04	0.05
P-ალბათობა	16.90	10.18	7.08	7.27	-1.74	-0.05
P-მნიშვნელობა	<0.05, მნიშვნელოვანი	<0.05, მნიშვნელოვანი	<0.05, მნიშვნელოვანი	<0.05, მნიშვნელოვანი	>0.05 არ არის მნიშვნელოვანი	>0.05 არ არის მნიშვნელოვანი

**წყარო:** შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებულ გამოთვლებზე დაყრდნობით.

მესამე ქვეთავი ეხება საქართველოში აკვაკულტურის სექტორის განვითარების მაკროგარემოს, პოლიტიკურ-სამართლებრივ და ეკონომიკურ ასპექტებს. ნაშრომის დასაწყისში ხაზგასმულია, რომ აკვაკულტურა ბოლო პერიოდში სტრატეგიული დაგეგმარების ობიექტად იქცა, რაც დასტურდება სტრატეგიული დოკუმენტით. აღნიშნულია, რომ ქვეყანას გააჩნია აუცილებელი ბუნებრივი რესურსები, ინფრასტრუქტურა და მცირე ფერმერულ თუ საოჯახო მეურნეობებში დაგროვილი გამოცდილება. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებზე დაყრდნობით, დასაბუთებულია, რომ კარგი მმართველობა აკვაკულტურის სექტორის პოტენციალის რეალიზების აუცილებელი პირობაა. ნაშრომში არგუმენტირებულად არის დასაბუთებული სახელმწიფოს მხრიდან დარგის განვითარებისთვის პირველადი ხელშეწყობი მექანიზმების აუცილებლობა. გამოყოფილია შემდეგი ფაქტორები:

- მაღალი რისკი და გაურკვეველობა: განვითარებადი სექტორის შემთხვევაში მაღალია რისკი და გაურკვეველობა;
- დარგობრივი სპეციფიკა: წარმოება დაკავშირებულია წყლის ორგანიზმების ბიომრავალფეროვნებასთან, კულტივირებასთან, სასიცოცხლო ციკლების მართვასა და ეკოლოგიურ საჭიროებებთან;
- საერთო რესურსებით სარგებლობა: სექტორი იყენებს საერთო სარგებლობის ბუნებრივ რესურსებს, რაც მაღალ სოციალურ პასუხისმგებლობასა და გამჭირვალობას მოითხოვს;
- დარგთაშორისი კონკურენცია: დარგთაშორისი კავშირების სპეციფიკა ხშირად განაპირობებს რესურსულ დაპირისპირებას სხვა, უკვე დამკვიდრებულ

ინდუსტრიებთან, რაც ხშირად ართულებს საწარმოო ფაქტორებზე შეუფერხებელ წვდომასა და მათ ოპტიმალურ ათვისებას;

- ინფორმაციული ასიმეტრია და კონტროლი: ტექნოლოგიური წინსვლისა და ბაზრის სწრაფი განვითარების პირობებში, კონტროლის ნაკლებობამ შესაძლოა პროცესების უმართავი ზრდა გამოიწვიოს. სექტორის განვითარებისთვის საჭიროა მუდმივად განახლებადი მონაცემთა ბაზები;
- სტრუქტურული უთანასწორობა: დარგისთვის დამახასიათებელია სხვადასხვა სახის სოციო-ეკონომიკური და გენდერული უთანასწორობა, რაც აფერხებს სექტორის ინკლუზიურ ზრდას;
- სურსათის უვნებლობის სტანდარტები: ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე პროდუქციის რეალიზაციისთვის აუცილებელია ხარისხისა და უვნებლობის ეროვნული და საერთაშორისო რეგულაციების მკაცრი დაცვა;
- სასურსათო უსაფრთხოება და საზოგადოებრივი ჯანმრთელობა: აკვაკულტურის სტრატეგიული მხარდაჭერა წარმოადგენს საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ნაწილს პროდუქციის მაღალი კვებითი ღირებულებიდან გამომდინარე, ვინაიდან პროდუქციის მაღალი კვებითი ღირებულება ამდიდრებს მოსახლეობის რაციონს აუცილებელი მიკროელემენტებითა და ვიტამინებით. სექტორის განვითარება საშუალო და გრძელვადიან პერიოდში განაპირობებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის (Public Health) გაუმჯობესებას;
- სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება: ადგილობრივი წარმოების სტიმულირება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ნეგატიური სავაჭრო ბალანსის კორექტირებისთვის. იმპორტზე დამოკიდებულება და თვითუზრუნველყოფის დაბალი მაჩვენებელი ქვეყანას ეკონომიკურად მოწყვლადს ხდის.

ნაშრომში გამოყენებულია PESTEL ანალიზი, რომლის მიზანია გამოკვეთოს ის შესაძლებლობები და ბარიერები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია მდგრადი ბიზნესმოდელის ჩამოსაყალიბებლად და ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსის გასაუმჯობესებლად. პოლიტიკურ ნაწილში ხაზგასმულია პროგრამების - „აწარმოე საქართველოში“ და სოფლის განვითარების სააგენტოს (RDA) - როლი, რადგან ინტენსიური მეურნეობების აღჭურვა (ფილტრაციის სისტემები, აერაცია) სახელმწიფო თანადაფინანსების გარეშე მცირე მეწარმეებისთვის პრაქტიკულად შეუძლებელია. DCFTA-ის ფარგლებში სტანდარტების დაახლოება ევროპულ სტანდარტებთან, ერთი მხრივ, ზრდის ბიუროკრატას, მაგრამ, მეორე მხრივ, ხსნის გრძელვადიან საექსპორტო პერსპექტივებს. ეს პოლიტიკური ვექტორი აიძულებს საოჯახო მეურნეობებს, მეტად ორიენტირდნენ ხარისხის მართვის სისტემებზე, რაც ზრდის მათ კონკურენტუნარიანობას. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო შეღავათების ნაწილში სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოება გათავისუფლებულია საშემოსავლო და მოგების გადასახადისგან, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია მცირე საოჯახო ბიზნესისთვის. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში

არსებული პოლიტიკური გარემო ნაწილობრივ ხელსაყრელია ინტენსიური აკვაულტურის განვითარებისთვის, რამდენადაც არსებობს ფისკალური შეღავათები. თუმცა სახელმწიფო პროგრამებისა და სუბსიდირების მექანიზმები შედარებით ნაკლებად ეფექტიანია. ეკონომიკურ ფაქტორებში კრიტიკულ პრობლემად სახელდება საკვებისა და მედიკამენტების თითქმის 100%-იანი იმპორტზე დამოკიდებულება, რაც ლარის კურსის რყევას ავტომატურად ზრდის თვითღირებულებას. იმპორტზე დამოკიდებული რესურსები და სავალუტო რყევები ზრდის რისკებს, ხოლო ფინანსებზე შეზღუდული წვდომა აფერხებს ტექნოლოგიურ მოდერნიზაციას. შესაბამისად, იმპორტზემცვლელი დარგის ეკონომიკური პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს წარმოების ეფექტიანობის ზრდას და ფინანსური ინსტრუმენტების ადაპტირებას მცირე მეწარმეების საჭიროებებზე. სოციალური კუთხით, ბაზარზე ფიქსირდება მკაფიო პოზიტიური განწყობა და მზარდი მოთხოვნა ადგილობრივი წარმოების თევზზე, რაც ჯანსაღი კვების თანამედროვე ტენდენციებით არის განპირობებული. თუმცა ამ პოტენციალის რეალიზებას ხელს უშლის სოფლად მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები და ახალგაზრდების მიგრაცია, რაც კვალიფიციური სამუშაო ძალის დეფიციტს ქმნის. იმპორტჩანაცვლებისთვის აუცილებელია ხარისხის სტაბილურობა და პროდუქციის ხელმისაწვდომობა. ტექნოლოგიურად დარგი კვლავ მოძველებული გამდინარე სისტემების იმედად არის. ქართველი ფერმერისთვის ავტომატიზებული სისტემის შექმნა მაღალ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ასევე გამოწვევაა თანამედროვე ტექნიკური ცოდნის მქონე კვალიფიციური კადრები. ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ბუნებრივი რესურსების არაეფექტიანი ხარჯვა და მაქსიმალურად გაიზარდოს პროდუქტიულობა. მაღალპროდუქტიული გენეტიკის გამოყენებასთან სინთეზში, ტექნოლოგიური პროგრესი ხდება იმპორტჩანაცვლების მთავარი ინსტრუმენტი. ეკოლოგიური ფაქტორების ანალიზი აჩვენებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მდიდარია ჰიდრორესურსებით, კლიმატის ცვლილება და ზაფხულში წყლის ტემპერატურის კრიტიკული მატება იწვევს თევზის სტრესსა და სიკვდილიანობის ზრდას. აღსანიშნავია, რომ 2020-2022 წლებში გარემოსდაცვითი რეგულაციების გამკაცრებამ ფილტრაციის სისტემების გამოყენება სავალდებულო გახადა. ახალი საკანონმდებლო ჩარჩო მიზნად ისახავს დარგის მოწესრიგებას, თუმცა მცირე მეურნეობებისთვის რეგულაციებთან შესაბამისობა ხშირად დამატებით ფინანსურ ტვირთთან არის დაკავშირებული. სამართლებრივი ფაქტორების ნაწილში, 2020 წელს მიღებულმა კანონმა „აკვაულტურის შესახებ“ დარგს ინსტიტუციური სახე მისცა. შემოვიდა 20-წლიანი ნებართვების სისტემა, წყლის ობიექტების ზონირება და მარიკულტურის ცნება. თუმცა კანონით დაწესებული ფინანსური ვალდებულებები, როგორცაა სანებართვო მოსაკრებელი (200 ლარი) და რეგულირების საფასური წყლის მოცულობის მიხედვით, დარგის ექსპერტთა ნაწილის მიერ ფასდება როგორც დამატებითი ბიუროკრატიული ბარიერი და მაღალი ფინანსური წნეხი მცირე ფერმერებისთვის.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არსებული გარემო ხელსაყრელია იმპორტის ჩანაცვლებისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საოჯახო მეურნეობები შეძლებენ ექსტენსიური მოდელიდან ინტენსიურზე გადასვლას. შესაბამისად, სახელმწიფო მხარდაჭერა მიმართული უნდა იყოს არა მხოლოდ ფინანსურ სუბსიდირებაზე, არამედ ტექნოლოგიური ტრანსფერისა და ცოდნის ამალგების ხელშეწყობაზე, რაც უზრუნველყოფს ადგილობრივი აკვაკულტურის გრძელვადიან კონკურენტუნარიანობას.

SWOT ანალიზის საფუძველზე, ქვეთავის დასკვნით ნაწილში გამოიკვეთა სექტორის სტრატეგიული პოზიცია და მისი განვითარების პოტენციალი. კერძოდ, ძლიერ მხარეებად მიჩნეულია ქვეყნის ბუნებრივი და გეოგრაფიული რესურსები, სოციალურ-ეკონომიკური ბაზისი და სახელმწიფო მხარდაჭერა - დარგს გააჩნია ლიბერალური საგადასახადო გარემო, ბაზარზე არსებული მხარდი მოთხოვნა. სუსტ მხარეებს შორის გამოიკვეთა ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა, რესურსული დამოკიდებულება, კადრების დეფიციტი, ინფრასტრუქტურული პრობლემები, ხარისხის დაბალი სტანდარტები, არასათანადო კონტროლი და ფინანსური ბარიერები. შესაძლებლობების სახით განიხილება მარიკულტურის განვითარება, ინოვაციური ტექნოლოგიების - RAS სისტემების დანერგვა, რაც ნებისმიერ რეგიონში თევზის წარმოების შესაძლებლობას იძლევა, იმპორტჩანაცვლების შესაძლებლობა, ევროკავშირის ბაზრის ათვისება, ინსტიტუციური განვითარება, ბრენდინგი - ქართული თევზის ბრენდის ჩამოყალიბება და სინერგია ტურიზმის სექტორთან. საფრთხეებს შორის კი აღსანიშნავია ეკონომიკური რისკები (არასტაბილური სავალუტო კურსი და საწარმოო ფაქტორებზე, მაგალითად, საკვებსა და ენერჯიაზე, ფასების ზრდა), მეზობელი ქვეყნებიდან (მაგ. თურქეთიდან) იაფი პროდუქციის იმპორტით გამოწვეული კონკურენცია, ასევე ბიოლოგიური, გარემოსდაცვითი და სოციალური ფაქტორები.

SWOT ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოში აკვაკულტურას აქვს მყარი ბუნებრივი ბაზისი, თუმცა მისი წარმატება დამოკიდებულია ტექნოლოგიურ მოდერნიზაციასა და კვალიფიციური კადრების მომზადებაზე.

ნაშრომის მესამე თავი ეხება იმპორტშემცველი აკვაკულტურის შესაძლებლობების შეფასებასა და ბიზნესმოდელის განვითარების პოტენციალს. პირველ ქვეთავში - საქართველოს თევზის მეურნეობების ბიზნესმოდელების ანალიზი: ტიპური საოჯახო მეურნეობის ეკონომიკური პარამეტრების მოდელირება - დეტალურად არის აღწერილი საქართველოს აკვაკულტურის სექტორის თანამედროვე მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება, როგორც გარდამავალი ფაზა ტრადიციული, ნახევრად ინტენსიური მეთოდიდან კომერციული და ინტენსიური მიდგომებისკენ.

სექტორში არ არსებობს ერთიანი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული ბიზნესმოდელი. ნაშრომში გამახვილებულია ყურადღება საწარმოების სხვადასხვა მახასიათებლებზე, იურიდიული ფორმების მიხედვით ლიდრობენ ინდივიდუალური მეწარმეები

(მცირე ფერმერები), რომელთაც უჭირავთ ბაზრის უდიდესი ნაწილი. მათ არ აქვთ მკაცრად ჩამოყალიბებული ბიზნეს სტრუქტურა და ხშირად ოჯახურ მეურნეობებს წარმოადგენენ, რომელთა დიდი ნაწილი მხოლოდ საარსებო ან ნახევრადკომერციულ დონეზე ფუნქციონირებს. კვლევაში გამოყოფილია საწარმოო ციკლები ცივი და თბილი წყლის სახეობების სპეციფიკაციის მიხედვით. წარმოებული პროდუქცია ბაზარზე პოზიციონირებს, როგორც ცოცხალი და ახალი თევზი, რომელიც კონკურენციას უწევს იმპორტირებულ გაყინულ პროდუქციას. პროდუქციის სახით ძირითადად გატანილია ცოცხალი თევზი, არ ხდება რაიმე დამატებითი ღირებულების შექმნა. თუმცა, გარდა ცოცხალი თევზისა, რიგ საშუალო და მსხვილ ფერმებში იწარმოება ხიზილაღაც, რომელიც გაცილებით ძვირადღირებული პროდუქციაა. ამასთანავე, რიგ მეურნეობებში გამოჰყავთ ლიფსიტები და ჭარბი რაოდენობის შემთხვევაში ხდება რეალიზაცია. თუმცა მსგავსი შემთხვევების რაოდენობა მწირია და ვერ ხდება ლიფსიტებზე არსებული მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

მომხმარებლის სეგმენტის მიხედვით, თევზის მეურნეობების ძირითადი მომხმარებლები არიან საცალო მოვაჭრეები და შუამავლები (არაპირდაპირი მომხმარებლები), რომელთა სარეალიზაციო არხია აგრარული ბაზრები. ამ ნაწილზე მოდის რეალიზაციის 60-70%. მომხმარებელთა სეგმენტში გამოიყოფა HoReCa სექტორი, განსაკუთრებით რესტორნები ტურისტულ ზონებში. ისინი არიან შედარებით სტაბილური, სეზონური მომხმარებლები, რომლებიც როგორც შუალედურ პროდუქციას ისე ყიდულობენ მეურნეობებიდან თევზს. ამ ნაწილში ხდება დამატებითი ღირებულების შექმნა (კერძის სახით შეთავაზება) და მომხმარებლებამდე მიტანა. ბაზარზე ფიქსირდება B2B (ბიზნესი - ბიზნესისთვის) და B2C (ბიზნესი მომხმარებლისთვის) ტიპის გაყიდვები. რაც შეეხება ხიზილაღას, მისი ძირითადი მომხმარებლები მაღალშემოსავლიანი ადგილობრივი მოსახლეობა და ტურისტები არიან, ხოლო მოთხოვნა განსაკუთრებით იზრდება ტურისტულ და სადღესასწაულო პერიოდებში.

აკვაკულტურის შრომის ბაზარი ხასიათდება მცირე მეურნეობებში არაფორმალურობის მაღალი ხარისხით და დიდ საწარმოებში სპეციალიზებულ ტექნიკურ უნარებზე მზარდი მოთხოვნით. საშუალო მეურნეობაში დასაქმებულია 2-10 ადამიანი (ძირითადად ოჯახის წევრები), ხოლო სეზონურად, სასაქონლო თევზის ამოყვანის პერიოდში, ხდება დამატებითი მუშახელის დაქირავება. მსხვილ საწარმოებში ეს რიცხვი 15-ს აჭარბებს. სექტორში ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი (24,6%) მოდის დაქირავებული შრომის ანაზღაურებაზე. ფუნქციები სხვადასხვანაირად შეიძლება იყოს გადანაწილებული. იქიდან გამომდინარე, რომ რეალური ბიზნესმოდელი არ არსებობს და ხშირ შემთხვევაში შეიძლება არც კი იყოს რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტი, არ იდება ხელშეკრულებები (არაფორმალური დასაქმება) და ფუნქციები პირობითია. რიგი სპეციფიკური ცოდნის მქონე პერსონალი, მაგალითად, იქთიოლოგი, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს

დაავადებებისა თუ თევზის ჯანმრთელობის საკითხებში მეურნეობებში არ გვხვდება. მათი ჩართულობა ერთჯერად ხასიათს ატარებს და მხოლოდ კრიტიკული საჭიროებისას შემოიფარგლება. შედეგად, ვეტერინარული ზედამხედველობა აღიქმება როგორც იზოლირებული საოპერაციო პროცესი და არა როგორც ბიზნეს-მოდელის სტრუქტურაში ინტეგრირებული მართვის ფუნდამენტური ელემენტი.

თევზის პროდუქტად გარდაქმნისა და მიწოდების პროცესს, როგორც წესი, თავად მფლობელი ან მენეჯერი მართავს, რომელიც ხშირ შემთხვევაში ლოჯისტიკური საქმიანობისა და გაყიდვების უშუალო შემსრულებელიცაა. ფინანსური მიმართულებით მეურნეობებს არ ჰყავთ მუდმივი შტატი და საჭიროებისამებრ სარგებლობენ კვალიფიციური ბუღალტრის აუთსორსინგული მომსახურებით. მენეჯმენტის სტრუქტურა ხშირად ბუნდოვანია, მართვის პროცესი დამოკიდებულია ერთეულ პირებზე (მფლობელებზე). მფლობელებს გააჩნიათ გამოცდილებაზე დაფუძნებული (ემპირიული) დარგობრივი ცოდნა. სექტორში ჩართული ადამიანური რესურსის ბაზა ხანდაზმულია, საქმიანობას ძირითადად ოჯახის უფროსი თაობა უძღვება, ახალგაზრდების მონაწილეობა კი დაბალია, რასაც საქსტატის მონაცემებიც ადასტურებს. ეს ფაქტორი განაპირობებს დარგში ინოვაციური მიდგომებისა და თანამედროვე ტექნოლოგიური ცოდნის დეფიციტს. სამუშაო ძალაში შესამჩნევია გენდერული დისბალანსი: პირველად ფიზიკურ საქმიანობას (აუზების გაწმენდა, მოსავლის აღება) ძირითადად მამაკაცები ასრულებენ, ხოლო ქალები, უმეტესწილად, მოსავლის აღების შემდგომ გადამუშავებასა და ადგილობრივ მარკეტინგში არიან ჩართულნი.

ფასებისა და დანახარჯების თვალსაზრისით ფერმერები დამოკიდებულები არიან საკვების იმპორტიორებზე. საკვების გაძვირება პირდაპირ ამცირებს ფერმერების კონკურენტუნარიანობას, რის ფონზეც ბაზარზე ძლიერდება იმპორტირებული, ძირითადად თურქეთიდან და ნორვეგიიდან შემოტანილი, თევზის პოზიციები. აჭარის რეგიონში მოსახლეობა საზღვარსაც კი კვეთს უკეთესი ფასის შეთავაზების მიზეზით და მეზობელ სახელმწიფოში ყიდულობს თევზს. გარდა ამისა, ფერმერებს ერთგვარი ლოჯისტიკური კონკურენცია აქვთ სუპერმარკეტებთან, რაც გამოიხატება თაროებისთვის და გასაყიდი სივრცეებისთვის კონკურენციით. მსხვილ ქსელებში მიწოდებისთვის აუცილებელია საკუთარი მაცივარი-მანქანა და სტაბილური გრაფიკით მიწოდება. ადგილობრივ (აკვაკულტურის) პროდუქტზე მოთხოვნა ბუნებრივად მცირდება ზღვაზე თევზჭერის სეზონის - ძირითადად, ქაფშიას მოპოვების - გააქტიურების პერიოდში (ნოემბრიდან მარტამდე). ეს განპირობებულია იმით, რომ აღნიშნულ ფაზაში გარე რეწვის პროდუქცია შედარებით დაბალი ფასით ხასიათდება, რის გამოც მომხმარებელი მას უპირატესობას ანიჭებს.

აკვაკულტურის ფერმების მარკეტინგული სტრატეგიები ჩამოყალიბებულია შიდა ბაზრის კულტურული პრეფერენციებით. გაყიდვის არხებიდან უდიდესი წილი მოდის ე.წ. „ფერმის კარიდან“ გაყიდვებზე, ხოლო პროდუქციის დაახლოებით 2-3%-ს ფერმერები თვითმომხმარებისთვის იყენებენ. კალმახის შემთხვევაში გაყიდვების

დიდი წილი მოდის პირდაპირ გაყიდვებზე, საბითუმო გადამყიდველსა (აგროსასურსათ ბაზრები, მეურნეობასთან არსებული რესტორნები/აგროტურიზმი) და სუპერმარკეტებზე (პირველი დონის მარკეტინგული არხი). კალმახის ფერმერების გარკვეული ნაწილი ფლობს საკუთარ კვების ობიექტს, რაც მათ საშუალებას აძლევს, გვერდი აუარონ საბითუმო მოვაჭრეებს და სრულად აითვისონ საცალო გაყიდვების მარჟა. ექსპორტზე (ძირითადად, შუამავლების მეშვეობით გაყინული კალმახის სახით) პროდუქციის მხოლოდ მცირე ნაწილი, დაახლოებით 1-2% გადის. მცირე მეურნეობების დაახლოებით 10-15% იყენებს სოციალურ მედიას, ასევე საბითუმო გადამყიდველებთან ამყარებენ პირდაპირ კომუნიკაციას სხვადასხვა სოციალურ ქსელებში არსებული თემატური ჯგუფების გამოყენებით. ხოლო მსხვილი კომპანიები პოპულარიზაციისთვის იყენებენ სოციალურ მედიასა (ფეისბუქი, ინსტაგრამი) და ბრენდირებულ შეფუთვას.

იქიდან გამომდინარე, რომ მაღალია მოთხოვნა, სარეალიზაციოდ გამზადებული პროდუქცია თითქმის სრულად იყიდება (რასაც ადასტურებს საქსტატის მონაცემებიც). შესაბამისად, ფერმერები მიმდინარე წლის საბაზრო ფასითა და მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის მოცულობის გადამრავლებით მიახლოებით ანგარიშობენ შემოსავლებს. აკვაკულტურული მეურნეობები, გარდა კრიტიკული აუცილებლობისა, ხარჯების სისტემურ აღრიცხვას არ აწარმოებენ. ნაშრომში აღწერილია კაპიტალური და მიმდინარე ხარჯები. საოპერაციო ხარჯების ყველაზე დიდი წილი საკვებზე მოდის. ფერმერების უმეტესობა იყენებს იმპორტირებულ მაღალხარისხიან საკვებს (მაგალითად, Coppens, Skretting და სხვა), რომელიც საკმაოდ ძვირია და ვალუტის კურსზე დამოკიდებულებიდან გამომდინარე მერყევი ფასით ხასიათდება. სხვადასხვა სახეობის თევზის 1 კილოგრამი საკვების საშუალო ფასი 4,50-6,00 ლარის ფარგლებში მერყეობს. აღსანიშნავია, რომ ფერმერები საკვებს შეიძენენ ყოველთვიურად, რისთვისაც საჭიროა ფულადი ნაკადების არსებობა. ასევე საკმაოდ მსხვილი დანახარჯები მოდის ლიფსიტას შექმნაზე, რომლის ფასიც ზომავზე დამოკიდებული და საშუალოდ 0,50-1,00 ლარს შეადგენს.

ნაშრომში მოდელის სახით შემოთავაზებულია აჭარაში მდებარე საოჯახო კალმახის ინტენსიური მეურნეობა, რომელიც წლიურად 20 ტონა ცისარტყელა კალმახს აწარმოებს საბაზრო ფასად. აქვს საბითუმო და საცალო გაყიდვები, დასაქმებულია ძირითადად ოჯახის წევრები და საწყისი კაპიტალი მიღებულია მემკვიდრეობითობით. ბიზნესმოდელი ეფუძნება მდინარის გამდინარე წყლის გამოყენებას და ორიენტირებულია მაღალი ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის შექმნაზე. მეურნეობა ხასიათდება საოჯახო ტიპის მენეჯმენტით, სადაც დასაქმებულთა ძირითად ბირთვს ოჯახის წევრები შეადგენენ. იურიდიული სტატუსით სუბიექტი წარმოადგენს ინდივიდუალურ მეწარმეს. ძირითადი პროდუქტი არის 300-350 გრამიანი ცოცხალი ცისარტყელა კალმახი, რომლის საცალო ფასი შეადგენს 15,00 ლარს, ხოლო საბითუმო - 13,00 ლარს. გაყიდვების 70% მოდის საბითუმო სეგმენტზე, 28% - საცალოზე, ხოლო 2% - თვითმომხმარებაზე.

რეალიზაციის მთავარი არხია „ფერმის კარი“, რაც გამორიცხავს დისტრიბუციისა და შენახვის დამატებით ხარჯებს.

მოდელირების ფარგლებში ჩატარებული გაანგარიშებით, 1 კვ კალმახის წარმოების თვითღირებულება 10,66 ლარია, ხოლო საკვების კონვერტაციის კოეფიციენტი (FCR) 1,3-1,8-ის ფარგლებშია. საკვებიც და ლიფსიტაც ძირითადად არის იმპორტირებული. ხარჯების სტრუქტურაში დომინირებს საკვების წილი (7,65 ლარი), რაც მთლიანი თვითღირებულების 71,7%-ს შეადგენს. საცალო გაყიდვების შემთხვევაში მოგების მარჟა 29%-ია, ხოლო საბითუმოზე - 18%. 20 ტონა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მთლიანი შემოსავალი (TR) მიახლოებით 266 000 ლარს შეადგენს. ყველა ხარჯის, მათ შორის ცვეთისა და მოგების გადასახადის გათვალისწინებით, მეურნეობის წმინდა მოგება წელიწადში საშუალოდ 32 171 ლარია. ასევე გამოთვლილია უდანაკარგობის წერტილი. ანალიზმა აჩვენა, რომ მეურნეობის ჯამური უდანაკარგობის წერტილი (Break-even Point) 6 318 კგ-ია. ეს ნიშნავს, რომ ბიზნესმა მინიმუმ 84 032 ლარის შემოსავალი უნდა მიიღოს ყველა ხარჯის დასაფარად.

კვლევა ხაზს უსვამს მაჩვენებლების მაღალ მგრძობელობას. მაგალითად, საკვების ფასის მიმართ - თუ საკვები 19%-ით გაძვირდება, საბითუმო გაყიდვები წამგებიანი გახდება. მიღებული მაჩვენებლების საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი მოცემულობა, რომ მოგების შედარებით მაღალი მარჟიდან გამომდინარე რეკომენდებულია აქცენტის გადატანა საცალო გაყიდვებზე. გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვანია ვერტიკალური ინტეგრაცია. იქიდან გამომდინარე, რომ საკვები ხარჯების 71,7%-ია, საკუთარი საკვების წარმოება ან პირდაპირი იმპორტის არხების მოძიება გაზრდის მომგებიანობას. შესაძლებელია ფასის კორექტირება ერთეულ პროდუქტზე, რადგან აღნიშნული მარჟას თითქმის ორჯერ ზრდის. რეკომენდებულია წარმოების ინტენსიფიკაცია. არსებული კაპიტალი იძლევა საშუალებას რომ ხარჯების რადიკალური ზრდის გარეშე მოხდეს წარმოების ზრდა. აუცილებელია ტექნოლოგიების გავლენით საკვების კონვერტაციის კოეფიციენტის (FCR) შემცირება. მეურნეობა დღეს ნამდვილად არის სტაბილური საოჯახო ბიზნესი, მაღალი აქტივებით, მაგრამ როგორც წმინდა ფინანსური ინვესტიცია, მომგებიანობის გაზრდის მიზნით საჭიროებს მოდელის გადახედვას.


შემდგომ ეტაპზე განხორციელდა აღნიშნული მოდელის ფინანსური მდგრადობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება სტოქასტური (ალბათური) მეთოდით, მონტე-კარლოს (Monte Carlo) სიმულაციის მეშვეობით. სიმულაციისთვის შეირჩა ის პარამეტრები, რომელთა მერყეობაც ყველაზე მეტად მოქმედებს წარმოების წმინდა მოგებაზე: ბიოლოგიური ფაქტორები - თევზის საშუალო წონა (0,30-0,35 კგ) და გადარჩენის კოეფიციენტი (70%-85%), ეკონომიკური პარამეტრები - სარეალიზაციო ფასი (13,00-15,00 ლარი), საკვების ღირებულება (4,50-6,00 ლარი) და ლიფსიტის ფასი (0,50-1,00 ლარი), ტექნოლოგიური ეფექტიანობა - საკვების კონვერტაციის კოეფიციენტი (FCR), რომელიც 1,3-დან 1,8-მდე დიაპაზონშია

განსაზღვრული. სიმულაცია განხორციელდა Microsoft Excel-ის ელექტრონული ცხრილების საშუალებით, 1000 დამოუკიდებელი იტერაციის სახით. სისტემა შემთხვევითობის პრინციპით ირჩევდა მნიშვნელობებს მოცემული დიაპაზონიდან და ითვლიდა ფინანსურ შედეგს.

მოდელირების საფუძველზე შეფასდა შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები: ზარალის ალბათობა (Probability of Loss) - სიმულაციამ აჩვენა კრიტიკულად მაღალი რისკი - 80%. ეს ნიშნავს, რომ 1 000-დან 800 შემთხვევაში ბიზნესი ზარალზე გადის; მოსალოდნელი მოგება (Mean) - საშუალო მაჩვენებელი უარყოფითია (-21 035 ლარი), რაც მიუთითებს მოდელის სისტემურ წამგებიანობაზე არსებული ხარჯთაღრიცხვის პირობებში; სამედიოლის ინტერვალი (95% Confidence Interval) - ნდობის ინტერვალში მოგება მერყეობს -65 708 ლარიდან +24 703 ლარამდე. ვინაიდან ინტერვალის დიდი ნაწილი ნულს ქვემოთაა, მოდელი სტატისტიკურად არასტაბილურია; სტანდარტული გადახრა (Standard Deviation) არის 23 118 ლარი, რაც ბიზნესის ფინანსური შედეგების მაღალ დისპერსიასა და არაპროგნოზირებადობაზე მიუთითებს.

შემდეგ ეტაპზე ჩატარდა მგრძობელობის ანალიზი (Sensitivity Analysis, Correlation Analysis), რაც გულისხმობს მოგების მაჩვენებელსა და პარამეტრებს (Input Variables) შორის კორელაციის მაჩვენებლების (პირსონის კორელაციის კოეფიციენტები) დადგენასა და „ტორნადოს დიაგრამის“ (Tornado Chart) აგებას, რომელიც გვიჩვენებს თითოეული ცვლადის კორელაციას მოგებასთან.

**დიაგრამა 1. სცენარის მონაცემების შესაბამისი ჰისტოგრამა**



**წყარო:** შედგენილია ავტორის მიერ მონტე-კარლოს მოდელირების შედეგებზე დაყრდნობით.

შედეგების თანახმად, ყველაზე მაღალი მგრძობელობა აქვს სარეალიზაციო ფასის ფაქტორს (-0,0477), რაც ნიშნავს, რომ ფასის მცირე შემცირებაც კი მნიშვნელოვნად მოქმედებს მოგებაზე. შემდეგი არის საკვების ფასი (-0,0428), რომელიც ადასტურებს საკვების ხარჯის დომინანტურ როლს და საკვების

კონვერსიის მაჩვენებელი (FCR) (-0,0183), რაც უფრო მეტ საკვებს მოიხმარს თევზი 1 კგ წონის მოსამატებლად, მით უფრო მკვეთრად მცირდება მოგება.

მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით გაკეთებული დასკვნების თანახმად, არსებული ბიზნესმოდელი მაღალი რისკის მატარებელია - არსებობს 80%-იანი ალბათობა იმისა, რომ პროექტი ზარალიანი იქნება. შესაბამისად, საჭიროა ოპტიმიზაცია შემდეგი მიმართულებებით: ტექნოლოგიური ოპტიმიზაცია (FCR-ის შემცირება ავტომატური კვების სისტემებით), ლოკალიზაცია (არა მხოლოდ თევზის, არამედ წარმოების საშუალებების (საკვების) ადგილზე წარმოება), მასშტაბის ეფექტი (მცირე საოჯახო მეურნეობებს უჭირთ ფიქსირებული ხარჯების გადაფარვა, ამიტომ საჭიროა წარმოების კონცენტრაცია და ინტენსიფიკაცია).

სამომავლო კვლევებისთვის მიზანშეწონილია მონტე-კარლოს სიმულაციის ხელახალი გაშვება რეცირკულაციური აკვაკულტურული მეურნეობების (RAS) პირობებში, სადაც გადარჩენის პროცენტი (Survival Rate) უფრო მაღალი და სტაბილური იქნება, ხოლო საკვების კონვერსიის მაჩვენებელი შემცირდება, რაც მკვეთრად შეამცირებს ზარალის ალბათობას. შესაძლებელია სხვადასხვა ფიქსირებული და/ან „მოკური“ პარამეტრების მქონე მოდელების შესწავლა.

საქართველოს აკვაკულტურის სექტორში არსებული მეურნეობების ეფექტური მართვისთვის სამეცნიერო ნაშრომში დეტალურად არის გაანალიზებული სამშრიანი ბიზნესმოდელის ტილოს (TLBMC) გამოყენების პერსპექტივები. აღნიშნული ინსტრუმენტი წარმოადგენს ინოვაციურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სოციალურ ღირებულებებს, რითაც უზრუნველყოფს ბიზნესის „სამმაგ საბოლოო შედეგს“.

ეკონომიკური შრე წარმოადგენს მეურნეობის ფინანსური სტაბილურობის ფუნდამენტს. ბიზნესმოდელის მნიშვნელოვანი კომპონენტია „ღირებული შეთავაზება“, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ თევზის რეალიზაციით, არამედ გულისხმობს მაღალი ხარისხის, ნედლი კალმახის მიწოდებას, რომელიც ცილისა და ვიტამინების მაღალი კონცენტრაციით გამოირჩევა. მომხმარებელთა სეგმენტები დივერსიფიცირებულია და მოიცავს როგორც B2B (შუამავლები, HoReCa სექტორი), ისე B2C (პირდაპირი გაყიდვები) მიმართულებებს, სადაც განსაკუთრებული აქცენტი კეთდება „ვერმიდან სუფრამდე“ კონცეფციაზე. HoReCa სექტორთან და შუამავლებთან ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ფაქტორებია დროული მიწოდება და ხარისხის გარანტია.

TLBMC-ის გარემოსდაცვითი და სოციალური შრის მნიშვნელობა და მისი კომპონენტები ხშირ შემთხვევაში თავად ფერმერებს ნაკლებად აქვთ გააზრებული. TLBMC-ის გარემოსდაცვითი შრე ეფუძნება პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის შეფასების (LCA - Life Cycle Assessment) პრინციპებს. მთავარი მიზანია, რომ ნივთიერებები მაქსიმალურად გარდაიქმნას ბიომასად და მინიმალურად - გარემოს დამაბინძურებლად. ამ შრეში მნიშვნელოვანია გააზრებული იყოს ფუნქციური კომპონენტი, რომელიც განსაზღვრავს ერთეულს, რომლის გარშემოც იზომება

გარემოზე ზემოქმედება. ფერმისთვის ფუნქციური ერთეულია 1 კგ სარეალიზაციო თევზი. პროცესში ხდება თევზის საკვებისა და წყლის რესურსის ეფექტური გარდაქმნა მაღალხარისხიან ცხოველურ ცილად. ბიოლოგიური მასალის - ლიფსიტის შემთხვევაში ფერმერები არა მხოლოდ გარემოსდაცვის, არამედ ფინანსური მოგების მიზნით მაქსიმალურად ცდილობენ ჯანსაღი ლიფსიტების გაშვებას, რადგან ჯანსაღი ლიფსიტა ნიშნავს ნაკლებ დანაკარგს (მკვდარი თევზის სახით წარმოქმნილ ნარჩენს) და დაავადებების დაბალ რისკს, რაც გამორიცხავს მედიკამენტების გამოყენების საჭიროებას. თევზის საკვებად ძირითადად ცდილობენ გამოიყენონ ორგანული ნივთიერებებისაგან მიღებული საკვები. გარდა ამისა, იმპორტირებული ლიფსიტა და საკვები დანამატები ტოვებს ეკოლოგიურ კვალს (ნაკლებ მანძილზე ტრანსპორტირებისას CO<sub>2</sub>-ის ემისია და თევზის სტრესი მცირდება, რაც დანაკარგების (ბიოლოგიური ნარჩენის) პრევენციაა). ინტენსიურ ფერმაში წყალი არის ძირითადი რესურსი, რომელიც ასრულებს ჟანგბადის გადამტანის ფუნქციას (50-100 მ3/კგ-ზე). ფერმერები ცდილობენ შეინარჩუნონ წყლის ხარისხი (სისუფთავე) შესვლისას და გამოსვლისას, რაც განსაზღვრავს ეკოსისტემაზე ზემოქმედებას. სადუინფექციო საშუალებებად ცდილობენ გამოიყენონ ისეთი ნივთიერებები, როგორებიცაა წყალბადის ზეჟანგი, კირი და/ან სხვა, რაც ამცირებს გარემოზე უარყოფით გავლენას. ხშირად ფერმერები საწვავის ეკონომიის მიზნით ერთდროულად გეგმავენ რამდენიმე ობიექტზე მისვლას, რაც დადებით გავლენას ახდენს გარემოს დაცვაზე, მცირდება საწვავის ხარჯი 1 კგ თევზზე (მარშრუტების ოპტიმიზაცია), ხოლო „ნული კილომეტრის“ ეფექტს (ადგილზე გაყიდვები) მინიმუმამდე დაჰყავს ნახშირბადის ემისია. გამოკვეთილია პირდაპირი კავშირი წარმოების ეფექტურობასა და ეკოლოგიურ გავლენას შორის: მაგალითად, საკვების დაბალი კონვერტაციის კოეფიციენტი (1,1-1,2) პირდაპირპროპორციულია წყალში აზოტისა და ფოსფორის მინიმალური გამოყოფისა. მიუხედავად იმისა, რომ ინტენსიური აკვაკულტურა მცირე ფართობზე დიდ მოსავალს იძლევა, გამოვლენილია ნეგატიური მიზეზ-შედეგობრივი ფაქტორებიც, როგორიცაა მდინარის ევტროფიკაციის რისკი დამლეკი აუზების არქონის შემთხვევაში, ასევე შესაფუთი მასალა არის პლასტმასი, ან არადეგრადირებადი პარკები, რაც უარყოფით გავლენას ახდენს გარემოზე.

სოციალური შრე ფოკუსირებულია სასურსათო უსაფრთხოებასა და რეგიონულ განვითარებაზე. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ წარმატებული მეურნეობა სხვა ფერმერებისთვის „ცოდნის გაზიარების ჰაბად“ ყალიბდება (გადადინების ეფექტი - Spillover Effect), რაც სტიმულს აძლევს რეგიონული კლასტერის შექმნას. მეურნეობის ოჯახური მოდელი, სადაც ცოდნა თაობიდან თაობას გადაეცემა, ამყარებს კულტურულ იდენტობას და ამლიერებს ადგილობრივ ეკონომიკას, ზრდის დასაქმების შესაძლებლობებს, რაც მიგრაციის პრევენციის ერთ-ერთი ქმედითი საშუალებაა. ამასთანავე, ეს არის ურბანიზაციით გამოწვეული სოციალური კრიზისის შემცირების ერთ-ერთი საშუალება. ლოკალურად არსებული მეურნეობები ზრდიან

ჯანსაღ და ცილით მდიდარ პროდუქტზე ადგილობრივი მოსახლეობის ხელმისაწვდომობას (იზრდება ადგილობრივი თვითკმარობის ინდექსი). იზრდება მოთხოვნა ადგილობრივ რესურსებზე, მაგალითად, სამშენებლო მასალები ავზებისთვის, ადგილობრივი ტრანსპორტი და სხვა. თუმცა ამ სოციალური მიმართულებით გასათვალისწინებელია, რომ ვინაიდან დასაქმებულთა უმეტესობა ოჯახის წევრია, მნიშვნელოვანია სამუშაოსა და პირადი ცხოვრების ბალანსი, რათა თავიდან იქნას აცილებული ე.წ. „გადაწვა“ (Burnout), რაც ხშირია ინტენსიური მეურნეობების დროს.

სამშრომანი ბიზნესმოდელის ტილოს (TLBMC) ანალიზის საფუძველზე, ნაშრომში დეტალურად არის გააზრებული თევზის მოშენების ბიზნესის მართვის სტრატეგიის გაუმჯობესების კონკრეტული გზები:

1. ეკონომიკური სტრატეგიის გაუმჯობესება და დივერსიფიკაცია - ანალიზმა გამოავლინა, რომ ფერმერების ერთ-ერთი მთავარი სისუსტე შუამავლებზე მაღალი დამოკიდებულებაა, რაც ფასების კონტროლის ნაწილში „ძალაუფლების დისბალანსს“ იწვევს. სტრატეგიის გაუმჯობესების მიზნით, ნაშრომში დასაბუთებულია შემდეგი მიმართულებები: ვერტიკალური ინტეგრაცია (მიწოდების ჯაჭვის რამდენიმე რგოლის - მაგალითად, ლიფსიტის წარმოება, გადამამუშავება - კონტროლი, რაც ამცირებს დამოკიდებულებას გარე მომწოდებლებზე და ზრდის მოგების მარჟას), დამატებითი ღირებულების შექმნა (ტრადიციული აკვაკულტურის ნაცვლად, რეკომენდებულია პროდუქციის გადამამუშავება (მაგალითად, „შესაწავი მზა თევზი სანელებლებით“ ან ხიზილალის წარმოება), რაც ბაზარს უფრო მაღალფასიან პროდუქტს შესთავაზებს), ციფრული ტრანსფორმაცია (სოციალური მედიისა და მიტანის აპლიკაციების (როგორცაა „გლოვო“, „ვოლტი“) აქტიური გამოყენება, რაც საშუალებას აძლევს ბიზნესს გავიდეს ფართო ბაზარზე შუამავლების გარეშე).

2. გარემოსდაცვითი ეფექტურობა და ტექნოლოგიური მოდერნიზაცია - მართვის სტრატეგიის გაუმჯობესება გარემოსდაცვით ჭრილში პირდაპირ კავშირშია რესურსების ოპტიმიზაციასთან: ინოვაციური სისტემების დანერგვა (რეკომენდებულია რეცირკულაციური აკვაკულტურის სისტემების (RAS) გამოყენება, რომელიც 95-99%-ით ამცირებს წყლის მოხმარებას და უზრუნველყოფს გარემო პირობების უკეთეს კონტროლს), ენერგოეფექტურობა (მზის პანელების და ელექტრომობილების გამოყენება მიწოდების სერვისისთვის, რაც ამცირებს ნახშირბადის კვალს და ბიზნესს მედეგს ხდის ტარიფების ცვლილების მიმართ), ეკომეგობრული მასალების გამოყენება (ბიოდეგრადირებადი შესაფუთი მასალების და ბუნებრივი საკვები ინგრედიენტების გამოყენება).

3. სოციალური კაპიტალის განვითარება და აგროტურიზმი - სტრატეგიის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ნაწილია მეურნეობის ინტეგრაცია ტურიზმის სექტორთან: აგროტურისტული გამოცდილება (მეურნეობის გარდაქმნა „კულინარიული გაჩერების ადგილად“, სადაც მომხმარებელი იხდის არა მხოლოდ თევზის, არამედ თავად პროცესის საფასურსაც (დაჭერა, დაგემოვნება), რაც ქმნის

დამატებით ემოციურ და ფინანსურ ღირებულებას), გენდერული ბალანსი და ცოდნის ტრანსფერი (ოჯახის წევრებს (განსაკუთრებით ქალებსა და ახალგაზრდებს) შორის ფუნქციების მკაფიო გადანაწილება და მათი ჩართვა მართვის პროცესში, რაც ზრდის სოფლის მეურნეობის პრესტიჟს და ამცირებს ურბანიზაციას), კლასტერული თანამშრომლობა (ადგილობრივ ხელისუფლებასთან და სხვა ფერმერებთან კოოპერირება ერთიანი მარკეტინგული რუკების და საგანმანათლებლო ჰაბების შესაქმნელად).

მართვის სტრატეგიის გაუმჯობესება გულისხმობს გადასვლას ტრადიციული, მხოლოდ წარმოებაზე ორიენტირებული მოდელიდან, კომპლექსურ, ტურიზმთან ინტეგრირებულ და ტექნოლოგიურად აღჭურვილ ბიზნესზე, რომელიც მაქსიმალურად იყენებს ლოკალურ რესურსებს და ქმნის მაღალ სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელს.

### **დასკვნები და რეკომენდაციები**

ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს აკვაკულტურის სექტორის კომპლექსურ ეკონომიკურ კვლევას, რომელიც ანალიზებს დარგის განვითარების პოტენციალს იმპორტმემცვლელი პოლიტიკისა და თანამედროვე ბიზნეს მოდელირების ქრილში.

ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია იმპორტმემცვლელი პოლიტიკის საფუძვლები და რეინტერპრეტაცია მცირე, ღია ეკონომიკის პირობებში. ლიტერატურის სისტემური მიმოხილვის (PRISMA) საფუძველზე დასაბუთებულია, რომ ეს სტრატეგია არ გულისხმობს იზოლაციონიზმს, არამედ წარმოადგენს „ინტეგრირებული პროტექციონიზმის“ მექანიზმს. იმპორტმემცვლელი პოლიტიკის ეფექტიანობა პირდაპირპროპორციულია მისი კომბინირებისა ექსპორტის წახალისებასთან, რაც დასტურდება აშშ-ის, იაპონიისა და სამხრეთ კორეის გამოცდილებით. იმპორტმემცვლელი პოლიტიკა არის არა საბოლოო მიზანი, არამედ სექტორის სისტემური ეკონომიკური ტრანსფორმაციის გარდაუვალი ეტაპი.

გლობალური თევზის ბაზრის კვლევამ აჩვენა ფუნდამენტური სტრუქტურული ძვრები: ტრადიციული თევზჭერის კლების ფონზე აკვაკულტურა ხდება მომავლის მდგრადი სასურსათო ბაზრის მთავარი განმსაზღვრელი. „ლურჯი ზრდის“ (Blue Growth) პარადიგმის ფარგლებში, აკვაკულტურა აღარ განიხილება ვიწრო ბიოლოგიურ ქრილში. იგი არის მაღალტექნოლოგიური ეკონომიკური სისტემა, სადაც ბიოლოგიური პარამეტრები პირდაპირ კონვერტირდება ეკონომიკურ სარგებელში. სწორედ ამ მიზნით ნაშრომში ხაზგასმულია სამშრიანი

ბიზნესმოდელის ტილოს (TLBMC) როლი მდგრადი ეკონომიკური სისტემების ფორმირებაში.

საქართველოს კონტექსტში დარგის კვლევამ გამოკვეთა „სტრუქტურული დუალიზმი“: ერთი მხრივ, სექტორში რაოდენობრივად დომინირებს მცირე, გამოცდილი კადრებით დაკომპლექტებული საოჯახო მეურნეობები, რომელთათვისაც ეს ხშირად არამირითადი საქმიანობაა; მეორე მხრივ, წარმოების მოცულობისა და მაღალი ღირებულების სახეობების (მაგალითად, ზუთხი) წარმოებაში წამყვანი როლი აკისრიათ საწარმოებსა და იმ მეურნეობებს, ვისთვისაც აკვაკულტურა ძირითადი ბიზნესია. გამოვლინდა სტრატეგიული გამოწვევები: სახეობრივი კონცენტრაცია (დარგი ზედმეტად არის დამოკიდებული კალმახსა და კობრზე, რაც ზრდის ბაზრის მოწყვლადობას), დემოგრაფიული კრიზისი (სექტორში 25 წლამდე ახალგაზრდების ჩართულობა პრაქტიკულად ნულოვანია, რაც აფერხებს ციფრული ტექნოლოგიების დანერგვას), ეკონომიკური სტაგნაცია (წარმოების საშუალო წლიური ზრდის ტემპი (CAGR) მხოლოდ 2,32%-ია, რაც ინფლაციის ფონზე რეალურ განვითარებას ვერ უზრუნველყოფს).

პანელური მონაცემების ანალიზით დადგინდა ურთიერთკავშირები წარმოების მოცულობასა და რესურსებს შორის. კერძოდ, აუზური მეურნეობების ფართობის ზრდას უფრო დაბალი ეფექტი აქვს, ვიდრე ტბორულს, რაც ახსნილია დარგის სპეციფიკითა და ტექნოლოგიების ნაკლებობით. საკვების კოეფიციენტის მაღალი გავლენა ადასტურებს წარმოების გაუმჯობესების პირდაპირ დამოკიდებულებას კვების ხარისხსა და საკვების ფასზე. ანალიზი ადასტურებს, რომ საქმიანობის ხანგრძლივობას (გამოცდილებას) ტექნოლოგიური მოდერნიზაციის გარეშე არ აქვს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი წარმოებასთან.

ნაშრომის ერთ-ერთი ყველაზე ღირებული ნაწილია სტოქასტური ანალიზი. 1 000 იტერაციაზე დაფუძნებულმა სიმულაციამ აჩვენა, რომ არსებული ექსტენსიური მოდელის პირობებში ზარალის ალბათობა კრიტიკულ 80%-ს აღწევს, რისი ძირითადი მიზეზიც არის მაღალი საოპერაციო ხარჯები (საკვების წილი 54,5%) და დაბალი საბითუმო მარჟა. აღნიშნული ამცირებს ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობას იმპორტის მიმართ.

ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კომპლექსური ანალიზის (ეკონომეტრიკული რეგრესია, მონტე-კარლოს სიმულაცია და თეორიულ-ინსტიტუციური კვლევა) საფუძველზე დამტკიცდა, რომ აუცილებელია ტექნოლოგიური ინტენსიფიკაცია. გამოვლინდა პროფესიონალიზაციისა და მასშტაბის ეფექტი. კერძოდ, დადასტურდა, რომ სადაც აკვაკულტურა წამყვანი ბიზნეს-საქმიანობაა (და არა დამხმარე, საოჯახო მეურნეობა), იქ გამოშვების მოცულობა სტატისტიკურად უფრო მაღალია. დასაბუთდა ინტეგრაციისა და საკვები ბაზის კრიტიკულობა. მოდელირებამ და ფინანსურმა ანალიზმა მკაფიოდ გამოკვეთა,

რომ კომბინირებული საკვების მიწოდება არის წარმოების ზრდის მთავარი ფაქტორი. ვინაიდან ეს რესურსი დღეს 100%-ით იმპორტირებულია, ადგილობრივი საკვები ბაზის განვითარების გარეშე იმპორტჩანაცვლების სტრატეგია ეკონომიკურად მოწყვლადი და არამდგრადია.

ასევე გამართლდა მოსაზრება, რომ დარგში არსებული მცირე, ტრადიციული საოჯახო მეურნეობების მექანიკური გამრავლება ან ფერმერთა „მრავალწლიანი გამოცდილება“ ავტომატურად ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის მასშტაბით იმპორტის ჩანაცვლებას. ამასთანავე, მონტე-კარლოს სიმულაციამ აჩვენა, რომ არსებული მცირე საოჯახო ბიზნეს-მოდელების პირობებში წაგების ალბათობა კრიტიკულად მაღალია (80%). შესაბამისად, ექსტენსიური მოდელი ვერ პასუხობს იმპორტჩანაცვლების გამოწვევებს.

ნაშრომის ფარგლებში შემოთავაზებულია დარგის ტრანსფორმაციის გზა, რომელიც სამშრიანი ბიზნესმოდელის ტილოზეა დაფუძნებული: გადასვლა ვერტიკალურ ინტეგრაციაზე (საკუთარი საკვების წარმოება), აგროტურიზმთან სინთეზი, ენერგოეფექტური რეცირკულაციური სისტემების (RAS) დანერგვა, ახალგაზრდა კადრების მოზიდვა და ცოდნის ტრანსფერი.

საქართველოში აკვაკულტურის, როგორც იმპორტშემცველი დარგის, პერსპექტივა პირდაპირკავშირშია პარადიგმის ცვლილებასთან. საქართველოს აკვაკულტურის სექტორის გრძელვადიანი მდგრადობის გარანტია არის საოჯახო მეურნეობების ევოლუცია მაღალტექნოლოგიურ, ინტენსიურ ინდუსტრიად, სადაც იმპორტჩანაცვლება მიიღწევა არა იზოლაციით, არამედ ტექნოლოგიური „კეთებით სწავლის“ (Learning-by-doing) მოდელით.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები ასახულია ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში:

1. Varshanidze N., (2022) The Blue Economy: A New Way To Solve Environmental And Economic Problems. Innovative Economics and Management, vol 9. 15-23, 2022. <https://doi.org/10.46361/2449-2604.9.3.2022.15-23>
2. Varshanidze N., Popluga D., (2023) Blue Economy: Analyzing Aquaculture Farms On The Example Of The Autonomous Republic Of Adjara (Georgia). 24th International Scientific Conference ECONOMIC SCIENCE FOR RURAL DEVELOPMENT 2023, 106-113, 2023. <https://doi.org/10.22616/ESRD.2023.57.010>
3. Katamadze G., Tsiklashvili N., Varshanidze N., (2025) Small and Medium-sized enterprises (SMEs) in Georgia: Institutional Challenges and Prospects for EU Market Integration. European Journal of Sustainable Development, 14, 2, 2025, 173-192, 2025. <https://doi.org/10.14207/ejsd.2025.v14n2p173>
4. Varshanidze N., (2025) Blue Economy: Business Model Features Of Aquaculture Farms. Innovative Economics and Management, vol 12, N1, 183-193, 2025. <https://doi.org/10.46361/2449-2604.12.1.2025.183-193>

Legal entity under public law -  
Batumi Shota Rustaveli State University



Faculty of Economics and Business  
Department of Business Administration, Management and Marketing

**Nestan Varshanidze**

# **Prospects and Challenges of Import Substitution Production in Georgia - Aquaculture**

**A N N O T A T I O N**

for the Academic Degree of Doctor of Business Administration

Batumi - 2026

The dissertation is being completed at Batumi Shota Rustaveli State University's Department of Business Administration, Management and Marketing, Faculty of Economics and Business

**Scientific supervisor:** **Natela Tsiklashvili**  
Candidate of Economic Sciences, Professor of Batumi Shota Rustaveli State University

**Foreign Appraiser:** **Nataliia Vdovenko**  
Doctor of Economic Sciences, Professor of the National University of Life and Environmental Sciences of Ukraine

**Evaluators:** **Eter Kharashvili**  
Doctor of Economic Sciences, Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Givi Bedianashvili**  
Doctor of Economic Sciences, Associate Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Badri Gechbaia**  
Doctor of Economics, Professor at Batumi Shota Rustaveli State University

The Dissertation will be defended in public on July 10 of 2026, at 14:00 during a session of the dissertation commission constituted by the Dissertation Board of the Faculty of Economics and Business at Batumi Shota Rustaveli State University.

**Address:** Batumi, Ninoshvili street 35/Rustaveli street 32, Room 423.

The dissertation is available in the library of Ilia Chavchavadze of Batumi Shota Rustaveli State University (Batumi, 35 Ninoshvili Street), and its annotation is available on the website of the same institution ([www.bsu.edu.ge](http://www.bsu.edu.ge)).

**Secretary of the Dissertation Board:** **Leila Tsetskhladze**  
Doctor of Business and Management, Associate Professor at Batumi Shota Rustaveli State University

## General description of the thesis work

**Relevance of the Dissertation Topic:** The relevance of the aquaculture sector in Georgia is driven by multidimensional factors encompassing sectoral development, food sovereignty, and the country's macroeconomic stability. On a global scale, total fisheries and aquaculture production stood at 125 million tonnes in 2000 (with aquaculture comprising 26% and capture fisheries 74%). By 2023, this figure escalated to 188 million tonnes, with aquaculture accounting for the majority share at 52%, while capture fisheries receded to 48%. Worldwide, aquatic organisms supply approximately 20% of the average animal protein intake for over 3 billion people. Furthermore, by 2030, aquaculture systems are projected to provide two-thirds of the fish consumed by humanity, solidifying the sector's role as a cornerstone of global food security. Aquaculture, functioning as a symbiosis of biological and economic systems, necessitates an innovative methodological framework that integrates the core principles of "Blue Growth."

From a practical perspective, this research addresses a critical challenge confronting the nation: mitigating the trade deficit and ensuring food security. In 2024, Georgia's imports of frozen fish alone reached 13,000 tonnes (National Statistics Office of Georgia - Geostat). Consequently, domestic demand for fish and seafood is heavily reliant on foreign supply, with the import penetration rate fluctuating between 86% and 88% over the past five years. This profound structural dependency hinders sectoral growth, compromises national food security, and exacerbates the trade deficit. Implementing robust import substitution policies within the fisheries sector would enable the country to stem foreign exchange currency outflows and stimulate domestic employment.

To incentivize import-substituting production, the state - in collaboration with international organizations such as the FAO and the EU - formulated the "Sustainable Aquaculture Development Strategy of Georgia 2024–2028," which targets a fivefold increase in production volumes. This dissertation aligns directly with the specific objectives of the Sustainable Aquaculture Development Strategy Action Plan of Georgia 2024-2028: namely, Objective 3 (Implementation of sustainable aquaculture production methods and the development of ecologically viable new pathways), Objective 5 (Establishment of innovative production systems and the modernization of existing infrastructure within the aquaculture sector), and Objective 7 (Formulation of best practice frameworks in aquaculture).

An analysis of the sector's economic efficiency demonstrates that the vast majority of production overheads are attributable to aquaculture feed costs. This indicates that the success of import-substituting production is heavily contingent upon the development of domestic feed manufacturing and technological modernization. Such advancements are critical to mitigating the current structural dependency on imported, frequently high-cost feed alternatives.

**Research Aim and Objectives:** The primary aim of this dissertation is to analyze the economic determinants affecting sectoral efficiency through a comprehensive evaluation and diagnostic study of existing intensive aquaculture business models in Georgia. Concurrently, the study seeks to formulate strategic recommendations required to foster sustainable development, enhance competitiveness, and incentivize import substitution within the industry.

To achieve this overarching aim, the following specific objectives have been established:

- Analysis of Theoretical and Methodological Foundations: To examine existing scientific, theoretical, and empirical approaches regarding import substitution policies; to process theoretical literature and empirical data pertinent to the aquaculture sector; and to systemize the specific characteristics of aquaculture business models alongside contemporary economic paradigms.
- Diagnostics of Georgia’s Aquaculture Sector: To conduct a comprehensive evaluation of the current state, production capacities, and corporate frameworks of intensive aquaculture operations within the country utilizing descriptive statistics, SWOT analysis, and PESTEL analysis.
- Factor Analysis and Modeling: To identify the key economic variables influencing the efficiency of intensive production systems using econometric modeling and Monte Carlo simulations, thereby evaluating the causal relationships and quantifying their qualitative and quantitative impacts.
- Investigation of Foreign Trade Dynamics: To analyze the import-export dynamics of seafood products within the Georgian fish market and quantify the degree of import dependency using the self-sufficiency ratio, trade balance metrics, and the Herfindahl-Hirschman Index (HHI); additionally, to assess the capacity for import substitution driven by the scaling of domestic intensive production.
- Identification of Business Model Challenges: To identify prevailing business models and evaluate their economic, ecological, and social efficiency using the Triple Layered Business Model Canvas (TLBMC) framework, with the ultimate goal of enhancing the sustainability and market competitiveness of intensive aquaculture enterprises.
- Derivation of Conclusions and Formulation of Policy Recommendations: To synthesize the empirical findings of this research in order to construct actionable policy proposals targeted at optimizing sectoral efficiency, enhancing investment attractiveness, improving the foreign trade balance, and fostering a supportive ecosystem for import substitution.

